

Тарас
Шевченко

Думи мої...



ტარას
შევჩენოს
ფიქრის
ჩემი...

Тарас
Шевченко



ტარას
შევჩენო

Державна
Російська
Бібліотека УРСР
Київ

КИЇВ

1987

ТБІЛІСІ

Тарас Шевченко

Думи
мої...

ПОЕЗІЇ



Видавництво
художньої
літератури
«ДНІПРО»

Видавництво
«САБЧОТА САКАРТВЕЛО»



მთარას მუხრენო

ფიქრო
ჩემო...

ლექსები და პოემები

გამომცემლობა
„დნიპრო“

გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო“

84УкІ-5
Ш37

*В книгу вошли
избранные поэтические
произведения
классика украинской литературы
Т. Г. Шевченко (1814–1861)
в оригинале и в переводе
на грузинский язык.
В издании использованы
работы из наследия
Т. Г. Шевченко-художника.*

*Упорядкування,
передмова та переклад
грузинською мовою*

РАУЛЯ ЧІЛАЧАВИ

შეადგინა, წინასიტყვაობა დაურთო
და ქართულად თარგმნა
რაულ ჩილაჩავამ

*У виданні використано репродукції
з творів малярської спадщини*

Т. Г. ШЕВЧЕНКА

გამოცემაში გამოყენებულია
ტ. გ. შევჩენკოს ნახატთა რეპროდუქციები.

Ш $\frac{4702590100 - 047}{M205(04) - 87}$ 47.87

© Упорядкування, передмова,
переклад грузинською мовою,
упорядкування ілюстративного
матеріалу, художнє оформлення.
Видавництво «Дніпро», 1987 р.

НАШ ШЕВЧЕНКО

«Історія мого життя складає частину історії моєї батьківщини», — писав Тарас Шевченко. Ці слова найточніше виражають зміст його життя і творчості.

Погляньте на Шевченкові автопортрети, зроблені на засланні, і вас вразить постаріле, змучене обличчя й глибоко запалі очі людини, котрій нема й сорока.

Поїдьте у будь-яке українське село, зайдіть у будь-яку хату, і ви там обов'язково побачите прикрашений вишитими рушниками портрет Кобзаря. Він — як член сім'ї, як найдорожча людина. Більшого благоговіння перед поетом годі й уявити!

Так, до Шевченка творили Григорій Сковорода, Іван Котляревський, Григорій Квітка-Основ'яненко, але потрібний був володар дум і сподівань народу, увінчаний терновим вінком. Така доля випала Тарасу Шевченку.

«Він був сином кріпака і став володарем в царстві духа.

Він був кріпаком і став велетнем у царстві людської культури.

Він був самоуком і вказав нові, світлі й вільні шляхи професорам і книжним ученим.

Десять літ він томився під вагою російської солдатської муштри, а для Росії зробив більше, ніж десять переможних армій», — писав про великого Кобзаря Іван Франко.

Тарас Шевченко — один з тих небагатьох, чиє ім'я сприймається як символ країни, народу. В ньому дивовижно поєднується громадянин і митець, борець і мрійник. Шевченкове життя — яскрава ілюстрація його життєвого кредо: служити кращому майбутньому вітчизни, не лякатися ніяких труднощів і без вагань принести себе в жертву на вівтар свободи. Перед нащадками він постає в кількох іпостасях. Найперше — як геніальний поет, чарівник слова, по-друге — як блискучий художник-живописець, гравер, великий майстер офорта. Не менш цікавий і привабливий

Шевченко як прозаїк і драматург. З його прозових творів особливо вирізняється «Щоденник» — цей, коли можна так висловитись, шедевр інтимної белетристики, багатопланова сповідь, яка ще яскравіше показує Шевченка як громадянина, мислителя, митця.

Тарас Шевченко — воістину «безсмертний дух» України. Він не вивчав життя рідного народу як спостерігач, а жив його життям. Душею, думами, мріями він кружляв над Україною («А я дивлюся... і серцем лину в темний садочок на Україну...», «І ніби сам перелечу хоч на годину на Вкраїну...»). Адже й сам незрівнянний «Заповіт» — підтвердження вічної невід'ємності поета від матері-вітчизни.

Нам, людям кінця ХХ віку, котрі звикли до Шевченкового безсмертя, важко уявити таку страшну несправедливість долі: а якби не викупили його, або він підкорився імператорському наказу про сувору заборону писати й малювати, або десь у солдатчині, у хвилях байдужого Косаралу чи сипучих пісках Мангишлаку, загубилися його захалявні книжечки й щоденники, чи в пожежі згоріли його картини?

На превелике щастя, сталося так, як мало статися. Він навіки наш, гнівний і лагідний, веселий і журливий, гордий і скромний, простий і геніальний.

Шевченко не був самотнім у своїй боротьбі: з ним були однодумці, з ним був народ... Народ народжує великих синів, а сини дарують йому безсмертя і самі ж залишаються безсмертними.

Тарас Шевченко своїм «Кобзарем» одним із перших гарантував вічність своєму народові, своїй мові, своїй культурі. Він зробив незаперечною й підняв на найвищий щабель ту дорогоцінну духовну спадщину, яку протягом віків створювали і автор «Слова о полку Ігоревім», і безіменні генії — творці українських народних дум, усі Шевченкові попередники.

«Кобзар» — найвеличніша, безсмертна українська книжка усіх часів, книжка, в якій печаль і радість, відчай і непохитна віра поета-революціонера в майбутнє висловлені найглибше і найпристрасніше.

Шевченків «Кобзар» в уявленні грузина неодмін-

но викликає паралель з «Давітіані» Давида Гурамішвілі. Основне, що ріднить Шевченка й Гурамішвілі, — це дивовижне поєднання особистого із суспільним, панорамне, масштабне відтворення власного горя на тлі лихоліття народного.

Він близький і до грузинських романтиків Олександра Чавчавадзе, Григола Орбеліані, Ніколоза Бараташвілі. Як схожі його «Нема на світі України, немає іншого Дніпра» на знайомі змалку рядки Гр. Орбеліані: «Де є інша Грузія на світі?»

Майже дослівно перегукуються рядки Шевченка та Іллі Чавчавадзе:

А ще гірше — спати, спати,
І спати на волі.

(Т. Шевченко)

О боже, боже, все спати, спати,
Коли ж прокинутися нам?

(І. Чавчавадзе)

У віршах Шевченка грузинський читач може зустріти й рідні образи, як-от: «сестри-зорі». Цей образ неодмінно нагадає мегрельський фольклор: «яснолиці зорі — брати і сестри мої».

В Шевченковому слові неповторно злилися блискучий талант лірика і темперамент сатирика. Усі ми пам'ятаємо сповнені глибокого болю і синівської відвертості слова Акакія Церетелі: «Ти достойна плювка, Грузіє». Так само пам'ятає й ніколи не зможе забути Україна нищівного сарказму Шевченка, спрямованого проти лібералів, балакунів, що втратили почуття національної гордості («І мертвим, і живим...»).

Право на таку суворість мав лише духовний провідник народу, і його нещадне, гостре слово робило своє.

Зрозуміло, що для нас, грузинів, особливо дорога Шевченкова поема «Кавказ». Поет, на відміну від багатьох противників престолу, не був засланий у цей «теплий Сибір», не бачив «за горами гори», де «споконвіку Прометей... орел карає», але розповіді друзів, зокрема О. Афанасьєва-Чужбинського, а також

загибель на кавказькій війні друга-художника Якова де Бальмена надихнули його на гостропубліцистичний твір, в якому поет з небаченою сміливістю й відвагою захищає національну гідність народів Кавказу:

І вам слава, сині гори,
Кригою окуті.
І вам, лицарі великі,
Богом не забуті.
Борітеся — поборете,
Вам бог помагає!
За вас правда, за вас слава
І воля святая!

В «Кавказі» Шевченко викриває царат не лише як ката українського народу, а й як душогуба всіх інших народів, — і в цьому основа його глибокого інтернаціонального пафосу.

Погодьтеся, Акакій Церетелі не був людиною, котра не задумуючись могла стати навколішки перед кимось, але ж відомо, що саме Акакій, великий грузинський поет, став навколішки перед погруддям Тараса Шевченка в 1914 році, коли в усій російській імперії царат суворо заборонив відзначати 100-річчя з дня народження Кобзаря. (Існує навіть фото, на якому зображені жандарми, що зібралися біля могили поета). Чомусь здається, що Акакій цю велику шану Шевченкові, єдину зустріч з яким пригадував завжди з хвилюванням, віддав і за «Кавказ».

Тарас Шевченко — поет громадянського пафосу. Це — поза сумнівом. Але не слід забувати, що він — і найніжніший лірик, який сягає глибин людської душі, торкає найпотаємніші струни її дум і пристрастей. Форма віршів Шевченка майже не відчувається. Вона наче й не існує, бо така підпорядкована думці, образу, внутрішній музиці слова. Течія його рядків невимушена, думка жива й прозора, образ глибокий і вражаючий.

Тарас Шевченко і в поезії — художник. Пензлем художника-реаліста малює він реалістичні картини, дуже яскраві й зримі. Для прикладу досить вірша «Садок вишневий...», кожен з п'ятнадцяти рядків якого — довершена картина. В поезіях Шевченка

вважають монументальні образи: «У голову гори клала, степом укривалась», «Не спалося, а ніч — як море...».

Шевченкова поезія не знає «безповітряних просторів», емоційного або змістовного вакууму. В ній постійно стикаються між собою грозові хмари, і перекладач схожий на того пілота, котрий повинен думати і про порятунок, і про те, як же передати іншим цю неповторну красу.

Чого гріха таїти, перекладач поезії часто хапається за два основні рядки, що несуть ідейне й образне навантаження, а решту прилаштує так, як підкажуть попередні рими. У Шевченка така можливість майже відсутня, бо у нього, власне, й нема якоїсь усталеної схеми римування, вона довільна: часом підряд ідуть одні рими — і весь вірш читається на одному подиху, або паралельні рими переходять у перехресні, перехресні — у внутрішні, ритм прискорений і постійно змінюється. Це справді кардіограма багатостраждального поетового серця. Як не раз свідчив сам Шевченко, одним оком він дивився на наглядача, другим — на папір. Чи не тому часто посередині обривається рядок і після поновлення роботи народжується новий ритм, новий настрій?

Шевченко — поет універсальний. Він задовольняє смаки найвишуканішого естета й простого селянина, прихильників сюжетних, розлогих оповідей і сконденсованих, емоційно напружених ліричних поезій, шанувальника політичної сатири чи інтимної оповіді. Тому й зрозуміло, чому «Кобзар», який щороку видається величезними тиражами, зникає умиль із книгарень. Тарас Шевченко — найнародніший, найдемократичніший творець, напрочуд цілісний і цілеспрямований, він ні на крок не відступив від своєї мети, свого переконання.

Щасливих «по-житейськи» поетів не буває. Шевченко як людина, певно, був одним із найнещасніших, але він знав: страждає для вітчизни, заради її майбутнього. І це надавало йому сили, надихало на творчі звитяги, на життєві подвиги. Нині важко назвати поета, щасливішого за Шевченка. Його ім'я дороге й близьке усім, кому дорогі й близькі ідеали

свободи й незалежності, ідеали братерства й інтернаціональної єдності, ідеали незнищенності високих людських почуттів і прагнень. Символічно, що пам'ятники Шевченку стоять не лише на березі рідного Славутича, а й на березі Москви-ріки, Сени. Стоїть йому пам'ятник і на березі малесенької імеретинської річечки Чіхурі, де у рік першого виходу «Кобзаря» народився великий Акакій Церетелі.

Кілька років тому було встановлено щорічне всесоюзне літературно-мистецьке свято «В сім'ї вольній, новій», яке розпочинається 9 березня, в день народження Шевченка. За аналогією до наших народних свят його можна було б назвати «Тарасоба». Пам'ятаю, як вибухнули оплески в переповненому Київському оперному театрі, коли Іраклій Абашідзе сказав: «Я — один із небагатьох нині сущих, хто брав участь у першому Шевченківському святі у 1939 році».

Далекі часи згадав видатний поет. Тоді мене й на світі не було... Моє знайомство з Шевченком почалося із «Заповіту», перекладеного Симоном Чіковані. А потім доля надовго привела мене у Київ, долучила до краси української мови, навіки зачарувала божественним віршем Кобзаря. Сьогодні мені вже здається не випадковим, що з Києва я вперше потрапив у Канів, на Тарасову гору, яку найвищою горою України назвав Іван Драч.

Удосвіта ми в Канів попливли.
На берегах Дніпрових мріли села
і де-не-де вітряк, немов пропелер,
мажав щосил невтомними крильми.

Нас оп'янили пахощі ланів,
і пам'ятав Славута достеменно
той час, коли він звався Бористеном...
І встало древнє місто вдалині.

І ми тоді побачили його
на кручі канівській — із високості
дивився на безмежний рідний простір
земний титан, що нам приніс вогонь.

Як спопеляв його священний гнів
тих, що цю землю напували кров'ю!

Зате якою ніжною любов'ю
весь мій Кавказ,
як брата,
він зігрів...

Його могутнє слово, наче грім,
хитало трони, рвало всі окупи.
І ми — в сім'ї великій, вольній, новій.
І вічний він при вічному Дніпрі.

(Переклад Світлани Жолоб)

Уже понад сто років перекладаються твори Т. Шевченка грузинською мовою. Свого часу грузинські поети звершили велику справу, донісши до нашого читача першокнигу українців. Та, як відомо, переклад старіє набагато раніше, ніж оригінал. І коли б наші сучасники, за прикладом старших побратимів по перу, дали власне прочитання «Кобзаря», то історія грузинсько-української дружби збагатилася б ще однією яскравою сторінкою. А поки що ця невеличка збірка — перша скромна спроба нового перекладу Шевченка грузинською мовою. В ній — вибрана лірика поета й поема «Кавказ».

Грузія пам'ятає Шевченкове «чурек і сакля — все твоє...». І в нашій спільній новій, просторій саклі ми щиро й шанобливо вимовляємо: «Наш Шевченко!»

РАУЛЬ ЧІЛАЧАВА

„ჩემი ცხოვრების ისტორია შეადგენს ნაწილს ჩემი ქვეყნის ისტორიისა,“ — წერდა ტარას შევჩენკო. ეს სიტყვები ზედმიწევნით გამოხატავს მისი ცხოვრებისა და შემოქმედების არსს.

გადახედეთ გადასახლებაში შესრულებულ შევჩენკოს ავტობიოგრაფიებს, და თქვენ შეგძრავთ დაბერებული, გაწამებული სახე და ღრმად ნაღვლიანი თვალები კაცისა, რომელსაც ორმოციც არ შესრულებია... ჩადით ნებისმიერ უკრაინულ სოფელში, შეიხედეთ ნებისმიერი გლეხის სახლში და იქ უსათუოდ ნახავთ ამოქარგული ხელსახოცებით დამშვენებულ კობზარის პორტრეტს. იგი დაგხვდებათ, როგორც ოჯახის წევრი, როგორც უძვირფასესი მასპინძელი. უფრო დიდი სასოება პროეტის მიმართ წარმოუდგენელია!

დიახ, შევჩენკომდე იყვნენ გრიგორი სკოვოროდა, ივან კოტლიარევსკი, გრიგორი კვიტკა-ოსნოვიანენკო, მაგრამ საჭირო იყო ერის ფიქრთა მესაიდუმლე, რომელსაც თავზე მოწამის ეკლიანი გვირგვინი უნდა დადგმოდა. ასეთი ხვედრი ბედმა ტარას შევჩენკოს არგუნა.

„ის იყო ყმის შვილი და იქცა სულიერი საუფლოს მბრძანებლად.“

ის იყო ყმა და იქცა ბუმბერაზად საკაცობრიო კულტურის საუფლოში.

ის იყო თვითნასწავლი და უჩვენა ახალი, ნათელი და თავისუფალი გზები პროფესორებსა და მწიგნობარ სწავლულებს.

ათ წელიწადს ტანჯავდა მას რუსულ ჯარში წვრთნის სიმძიმე, მაგრამ რუსეთის თავისუფლებისთვის გააკეთა უფრო მეტი, ვიდრე ათმა ძღვევამოსილმა არმიამ“, — წერდა დიდ კობზარზე ივან ფრანკო.

ტარას შევჩენკო ერთი ის მცირედთავანი გახლავთ, ვისი სახელიც ერის სიმბოლოდ, ქვეყნის სინდისადაც აღიქმება. მასში საოცრადაა შერწყმული მოქალაქე და ხელოვანი, მებრძოლი და მეოცნებე. შევჩენკოს შემოქმედება მკაფიო ილუსტრაციაა მისი ცხოვრებისეული მრწამსისა — ემსახურა მამულის უკეთესი მერმისისთვის, არ შეშინებოდა არავითარ სიძნელეს და საჭიროების შემთხვევაში თავი მის საკურთხეველთან მსხვერპლად მიეტანა. იგი რამდენიმე იპოსტას-

ში წარმოუდგება შთამომავლობას. უპირველესად, როგორც გენიალური პოეტი, სიტყვის ჯადოქარი, უკრაინელი ერის ფიქრთამპყრობელი, შემდგომ, როგორც ბრწყინვალე მხატვარი-ფერმწერი, გრაფიურისა და ოფორტის დიდოსტატი. არანაკლებ საინტერესო და მიმზიდველია შევჩენკო, როგორც პროზაიკოსი და დრამატურგი. მისი პროზაული ნაწერებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა „დღიური“, ეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ინტიმური ბელეტრისტიკის შედეგური, მრავალპლანიანი აღსარება, რომელიც უფრო თვალნათლივ წარმოაჩენს შევჩენკოს, როგორც მოქალაქეს, მოაზროვნეს, ხელოვანს.

ტარას შევჩენკო უკრაინის ჭეშმარიტად „თანამდევნი სულია“. იგი შორიდან კი არ სწავლობდა შშობელი ერის ცხოვრებას, არამედ ცხოვრობდა მისი ცხოვრებით. სულით, ფიქრებით, ოცნებებით იგი ნიადაგ თავს დასტრიალებდა უკრაინას („მე მივქრი... ყველაფერს თავი დავანებე, რომ კვლავ უკრაინის ვნახო სამანები...“, „მე ოცნებაში მეზრდება ფრთები და უკრაინის სტუმარი ვხდები...“). თვით უბადლო „ანდერძიც“ ხომ დასტურია დედა-სამშობლოსთან პოეტის მარადიული განუყრელობისა.

ჩვენ, XX საუკუნის მიწურულის ადამიანებს, ასე რომ შევეჩვიეთ შევჩენკოს უკვდავებას, ვერც კი წარმოგვიდგენია ბედის ასეთი საშინელი უკულმართობა: ვთქვათ და არ გამოესყიდათ იგი ყმობიდან ან დამორჩილებოდა იმპერატორის ბრძანებას წერისა და ხატვის მკაცრად აკრძალვის შესახებ ან ჯარისკაცად ყოფნისას სადმე კოს-არალის გულგრილ ტალღებში თუ მანგიშლაყის ჩხრიალა ქვიშაში ჩაკარგულიყო მისი უბის წიგნაკები და დღიურები, ხანძრების ალში დანთქმულიყო მისი ტილოები?

საბედნიეროდ, მოხდა სხვაგვარად, მოხდა ისე, როგორც უნდა მომხდარიყო. იგი საუკუნოდ ჩვენია — მრისხანე და ნაზი, მხიარული და სევდიანი, ამაყი და თავმდაბალი, სადა და გენიალური.

შევჩენკო მარტო არ იბრძოდა, მას ჰყავდა თანამოაზრენი, მასთან იყო ერი... ერი წარმოშობს დიდ შვილებს, შვილები კი მას ანიჭებენ უკვდავებას და თვითონაც უკვდავნი რჩებიან.

ტარას შევჩენკომ საკუთარი „კობზარით“ ერთმა პირველთაგანმა გაუნაღდა უკვდავება თავის ერს, ენას, კულტურას. მან უდავო გახადა და უმაღლეს საფეხურზე ასწია ის ძვირფასი სულიერი მემკვიდრეობა, რომელსაც საუკუნეების მანძილზე ქმნიდნენ ავტორი „ამბავი იგორის ლაშქ-

რობისა“, უსახელო გენიოსები — ხალხური ღუმების მთქმელნი, ყველა წინამორბედი მწერალი.

„კობზარი“ უდიდესი და უკვდავი, სისხლითა და ცრემლით გაჭერებული უკრაინული წიგნია, რომელშიც სევდაცა და სიხარულიც, ეროვნული სიამაყეცა და პირუთვნელი კრიტიკაც, სასოწარკვეთაცა და მომავლის ურყევი რწმენაც ღრმად, მაღალოსტატურად და გულშიჩამწვდომადაა გამოხატული პოეტი-რევოლუციონერის მიერ.

„კობზარი“ ქართველი კაცის წარმოდგენაში უთუოდ გამოიწვევს „დავითიანის“ პარალელს. ერის ისტორიაში ჩაწნული ბიოგრაფია, ერის უბედობის ფონზე დახატული საკუთარი უბედობა, — აი, ის მაგისტრალური ხაზები, რომლებიც აერთებს და ანათესავენს შევჩენკოსა და გურამიშვილს.

ტარას შევჩენკოს მთელი შემოქმედება გამსჭვალულია წარსულზე ღრმა სევდით. ამ მხრივ იგი მოგვაგონებს ქართველ რომანტიკოსებს ალექსანდრე ჭავჭავაძეს, გრიგოლ ორბელიანს, ნიკოლოზ ბარათაშვილს. როგორ ჰგავს მისი „არაა ქვეყნად სხვა უკრაინა, სხვა დნიპროც ქვეყნად აღარსად არი“ გრიგოლ ორბელიანის თითქმის აკვიდან ნაცნობ სტრიქონებს: „სხვა საქართველო სად არი, რომელი კუთხე ქვეყნისა?!“

თითქმის პირდაპირი გადაძახილი ისმის შევჩენკოსა და ილიას ამ სტრიქონებს შორის:

ასჯერ მტრისას ძილი, ძილი,
საშშვიდობოს ძილი.

(ტ. შევჩენკო)

ოჰ, ღმერთო, ღმერთო, სულ ძილი, ძილი,
როსლა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება.

(ი. ჭავჭავაძე)

შევჩენკოს ლექსებში ქართველი მკითხველი მშობლიურ, დიდი ხნის ნაცნობ სახეებსაც წააწყდება. იგი წერს: „ვარსკვლავები — დები“. ბუნებრივად გვახსენდება მეგრული ლექსი: „ხვიჩა-ხვიჩა მურიცხეფი და დო ჯიმა ჩქიმი...“

შევჩენკოს შემოქმედებაში განუმეორებელი ბუნებრიობით შეერწყა ერთმანეთს დინჯი ეპიკოსისა და უღმობელი სატირიკოსის ელვარე ნიჭი. ყველას გვახსოვს აკაკის უღრმესი გულისტკივილითა და ამავე დროს მამულიშვილური გულახდილობით ნათქვამი: „ფურთხის ღირსი ხარ, შენ,

საქართველოვ!“ ასევე ახსოვს და ვერც ვერასოდეს დაივიწყებს უკრაინა ლიბერალთა, ეროვნული სიამაყის გრძნობადაკარგულ მოლაყბეთა მიმართ შევჩენკოს გამანადგურებელ სარკაზმს („მკვდარ, ცოცხალ და ჯერ არშობილ თანამემამულეებს ჩემსას...“).

თანამემამულეთა მწარედ დატუქსვის უფლება მხოლოდ ერის წინამძღოლს ჰქონდა და მისი ბასრი, უღმობელი სიტყვაც თავისას აკეთებდა.

ცხადია, ჩვენთვის, ქართველთათვის, განსაკუთრებით ძვირფასია შევჩენკოს პოემა „კავკასია“. პოეტი, ტახტის ბევრი სხვა მოწინააღმდეგისაგან განსხვავებით, არ ყოფილა გადმოსახლებული ამ „თბილ ციმბირში“, არ უნახავს „მთების მიღმა მთები“, სადაც „არწივი პრომეთეოსს სჯის მიჯაჭვის დღიდან“, მაგრამ მეგობრების, კერძოდ, ა. აფანასიევ-ჩუჟბინსკის მონაყოლმა, აგრეთვე მეგობარი მხატვრის იაკობ დე ბალმენის კავკასიის ომში დაღუპვამ, მას შთააგონა მძაფრი პუბლიცისტური ტილო, რომელშიც არნახული სითამამითა და შეუპოვრობითაა დაცული კავკასიელთა ეროვნული რენომე. მათ უკვე გაეგონათ: „დაცხრი, კავკასიავ, მოდის ერმოლოვი!“ და უცებ:

თქვენც დიდება, ლურჯო მთებო,
ყინული რომ გფარავთ.
თქვენც, დიადო რაინდებო,
ღმერთს ახსოვხართ მარად.
იბრძოლეთ და გაიმარჯვებთ,
ღმერთიმც დაგეხმაროთ!
თქვენკენაა სამართალი,
შვებაც სანეტარო!

„კავკასიაში“ შევჩენკო ამხელს ცარიზმს არა მარტო როგორც უკრაინელი ერის ჯალათს, არამედ სხვა დანარჩენ ერთა სულთამხდელსაც და სწორედ ესაა მისი ღრმად ინტერნაციონალისტური შემართების ქვაკუთხედი.

დამეთანხმებით, აკაკი წერეთელი არ იყო ის კაცი, ვინც ჰაიჰარად მოიყრიდა მუხლს ვინმეს წინაშე, მაგრამ ხომ ცნობილია, რომ სწორედ აკაკიმ, საქართველოს დიდმა მგოსანმა, დაიჩოქა შევჩენკოს ბიუსტის წინაშე 1914 წელს, როცა მთელს რუსეთის იმპერიაში სასტიკად აკრძალეს კობზარის დაბადების 100 წლისთავის აღნიშვნა. (არსებობს ფოტო, რომელზეც აღბეჭდილი არიან ჟანდარმები პოეტის საფლავზე სწორედ მისი დაბადების დღეს). რატომღაც მგონია, რომ აკაკიმ ეს უდიდესი პატივი ბევრ სხვა რამესთან ერთად „კავკასიისთვისაც“ მიაგო უკრაინელ პოეტს, რომელ-

თან ერთადერთ შეხვედრასაც იგი ყოველთვის მღელვარებით იხსენებდა.

ტარას შევჩენკო მოქალაქეობრივი პათოსის პოეტია. ეს უდავოა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იგი უნაზესი ლირიკოსიცაა, რომელსაც ხელეწიფება ჩასწვდეს ადამიანის სულის უღრმეს შრეებს, შეარხოს მისი ფიქრებისა და ვნებების უიდუმალესი სიმები. შევჩენკოს ლექსის ფორმა საერთოდ არ იგრძნობა. იგი თითქოს არც არსებობს, იმდენადაა დაქვემდებარებული სათქმელს, განცდას, აზრის შინაგან მუსიკას. მისი სტრიქონების მდინარეა ძალდაუტანებელია, აზრი — ცხოველი და გამჭვირვალე, სახე — ღრმა და შთამბეჭდავი.

ტარას შევჩენკო პოეზიაშიც მხატვარია. იგი რეალისტი მხატვრის ფუნჯით ხატავს რეალურ სურათებს, ძალზე მკაფიოსა და ხელშესახებს. სამაგალითოდ კმარა თუნდაც „ალუბლის ბაღი...“, რომლის თხუთმეტევე სტრიქონი ცალ-ცალკე დასრულებული სურათია. ზოგჯერ შევჩენკოს ლექსში შეგეფეთებათ საოცრად მონუმენტური სახე: „თავსასთუმლად ედომები, სტეპი ჰგავდა საბანს“, „ვერ ვიძინებდი, ზღვას ჰგავდა ღამე...“

შევჩენკოს ლექსში ვერ ნახავთ „უჰაერო სივრცეებს“, ემოციურ და აზრობრივ ვაკუუმს. მასში ერთმანეთს ეჯახებიან საპირისპიროდ დამუხტული, ჭექა-ქუხილს მოწყურებული ღრუბლის მასები, და მთარგმნელი ღრუბლებში მოხვედრილ იმ პილოტს მოგაგონებთ, რომელმაც საკუთარ გადარჩენაზეც უნდა იფიქროს და ზვიადი, განუმეორებელი სანახაობის სხვებისთვის გადაცემაზეც.

რალა დასამალია, ლექსის მთარგმნელი ხშირად სტროფის ორ ძირითად, იდეური და სახეობრივი დატვირთვის მქონე სტრიქონს ჩაეჭიდება ხოლმე და ორ დანარჩენს ისე მთარგმნებს, როგორც იმ პირველი ორის რითმა უკარნახებს. შევჩენკოსთან ასეთი შესაძლებლობა მეტწილად გამორიცხულია. მასთან გარიტმის რაიმე მყარი სქემა არ არსებობს. იგი ნებისმიერია და ხშირად იმდენად ერთმანეთს მიყოლებული, რომ მთელი ლექსი ერთი ამოსუნთქვით იკითხება, მომიჯნავე რითმა ჯვარედინში გადადის, ჯვარედინი — შინაგანში, რიტმი აჩქარებულია და ნიადაგ ცვალებადი. ვფიქრობ, შევჩენკოს ლექსის რიტმი იმიტომაცაა ცვალებადი, რომ მას არ ჰქონდა საშუალება თავდავიწყებით მისცემოდა შემოქმედებას. როგორც არაერთგზის აღნიშნავს თვითონ, ცალი თვალი ზედამხედველისკენ უნდა სჭეროდა და მალულად, ქურდულად ეწერა. ხშირად ამიტომ

ხომ არ წყდება შუაზე სტრიქონი და მუშაობის განახლების შემდეგ იბადება ახალი რიტმი, ახალი განწყობილება?

ტარას შევჩენკო უნივერსალური პოეტია. იგი აკმაყოფილებს უდახვეწილესი ესთეტიკისა და უბრალო გლახის, სიუჟეტური, ეპიკური თხრობისა და ემოციურად დაძაბული ლირიკული ლექსების მოყვარულთ, პოლიტიკური სატირისა და ინტიმური აღსარების თაყვანისმცემელთ. ამიტომაც გასაგებია, რატომ ქრება იმწამსვე წიგნის მაღაზიებიდან „კობზარი“, ყოველწლიურად უზარმაზარი ტირაჟით რომ იცემა. შევჩენკო ყველაზე სახალხო, ყველაზე დემოკრატიული შემოქმედია, საოცრად მთლიანი და მიზანსწრაფული, რომელსაც წამითაც არ უღალატია საკუთარი მიზნისთვის, საკუთარი რწმენისთვის.

ყოველდღიურ ცხოვრებაში ბედნიერი პოეტები არ არსებობენ. ტარას შევჩენკო, როგორც პიროვნება, ერთი ყველაზე უბედურთაგანი იყო, მაგრამ მან იცოდა, რომ იტანჯებოდა საშობლოსათვის, მისი მომავლისთვის და ეს შთაავგონებდა შემოქმედებით სიქველეს, ცხოვრებისეულ გამბრობას. ამჟამად ძნელია შევჩენკოზე ბედნიერი პოეტის დასახელება. მისი სახელი ძვირფასი და მახლობელია ყველასთვის, ვისთვისაც მახლობელი და ძვირფასია თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის, ძმობისა და ინტერნაციონალური ერთიანობის, მაღალი ადამიანური გრძნობებისა და მისწრაფებების მარადიული იდეალები. სიმბოლოურია ის, რომ შევჩენკოს ძეგლები დგას არა მარტო შობლიური დნიპროს, არამედ მოსკვა-რეკას და სენის ნაპირებზეც. დგას მისი ძეგლი პაწაწკინტელა იმერული ღელის ჩიხურას ნაპირზედაც, სადაც „კობზარის“ პირველად გამოსვლის წელს ქვეყნიერებას მოევლინა დიდი აკაკი წერეთელი.

რამდენიმე წლის წინათ დაწესდა ლიტერატურისა და ხელოვნების საკავშირო დღესასწაული „ერთიან, ძმურ ოჯახში“, რომელიც ყოველწლიურად შევჩენკოს დაბადების დღეს, 9 მარტს იწყება. ჩვენში გავრცელებული სახალხო დღესასწაულების ანალოგიით თუ ვიტყვით, „ტარასობა“ მოუხდებოდა მას. ერთ-ერთ ასეთ „ტარასობაზე“ ირაკლი აბაშიძე მიიწვიეს. მახსოვს როგორ იქუხა ტაშმა კიევის საოპერო თეატრის ხალხით გაჭედულ დარბაზში, როცა ბატონმა ირაკლიმ თქვა: მე ერთი მცირედთაგანი გახლავართ დღეს ცოცხლად დარჩენილთა შორის, ვინც 1939 წელს, შევჩენკოსადმი მიძღვნილ პირველ ზეიმზე, კანევში ქუდმოხდილი იდგაო.

შორეული დრო გაიხსენა გამოჩენილმა პოეტმა. მე მაშინ დაბადებულიც არ ვიყავი. როგორც ბევრმა ჩემმა თანატოლმა, შევჩენკო „ანდერძის“ სიმონ ჩიქოვანისეული თარგმანით გავიცანი. მერე ბედმა დიდი ხნით ჩამიყვანა კიევში, მაზიარა უკრაინული ენის მშვენიერებას, საუკუნოდ მომხიბლა კობზარის ლვთაებრივი ლექსით. დღეს უკვე ნიშანდობლივად მეჩვენება, რომ კიევიდან პირველად სწორედ კანევიში მოვხვდი, ტარასის გორაზე, უკრაინის უმაღლესი მწვერვალი რომ უწოდა ივან დრაჩმა.

ჩვენ უთენია დავუყევით დნიპროს დინებას.
გალმა-გამოღმა შეფენილი ჩანდა სოფელი.
ქარის წისქვილი ფრთებს იქნევდა, როგორც პროპელერს
და იმ დღეს ჩვენი მეგზურობა ქარმა ინება.

გვცემდა სურნელი ნაჩალარის და ნაყანევის,
დნიპროს ახსოვდა, ბორისთენი რომ ერქვა წინათ.
თეთრად გახაზეს თოლიებმა „რაკეტის“ მინა
და საწიერზე სიზმარით აღჩნდა კანევი.

ჩვენ დავინახეთ: ფრიალოდან სივრცეს მშობლიურს
ჩაფიქრებული გასცქეროდა ლექსის სარდალი,
სინდისის, ქვეყნის, მომავლის წინ ალაღმართალი,
და ჭეშმარიტად საამსოფლიო.

მე მისი წიგნი სასთუმალთან ხშირად მდებია,
მიგრძნია გესლი უკრაინის მოსისხლე მტერთა
და რასაც იგი აღტყინებით დე ბალმენს სწერდა,
კავკასს დიდების შარავანდად შემონთებია...

ჩვენ დავინახეთ: აფოფრილი იყო ტყე-ველი,
შემოგარენი მიაგავდა ვეება ოფორტს...
ლექსის სარდალი გასცქეროდა დინებას, როგორც
იქ, იორდანეს წმინდა ზვირთებს ნათლისმცემელი.

უკვე ას წელზე მეტია, რაც ტარას შევჩენკოს ნაწარმოებები ქვეყნდება ქართულად. თავის დროზე ქართველმა პოეტებმა დიდი საქმე გააკეთეს უკრაინელთა უპირველესი წიგნის ჩვენს მკითხველთან მიტანით, მაგრამ ცნობილი ჭეშმარიტება, რომ თარგმანი ორიგინალზე გაცილებით ადრე ბერდება, ამ შემთხვევაშიც ძალაშია და თანამედროვენი, უფროს თანამოკალმეთა დარად „კობზარის“ საკუთარ ინტერპრეტაციასაც რომ შემოგვთავაზებდნენ, ქართველ-უკრაინელთა ძმობის ისტორიას კიდევ ერთი ნათელი ფურცე-

ლი შეემატებოდა. ჭერჯერობით კი ეს მცირე კრებულია შევჩენკოს ქართულად ხელახლა ამეტიყველების მოკრძალებული ცდა. მასში დაბეჭდილია პოეტის რჩეული ლირიკა და პოემები, რაც, ვფიქრობ, ნაწილობრივ მაინც მიანიშნებს ავტორის სიდიადეზე.

საქართველოს ახსოვს შევჩენკოსეული „მჭადიც და სახლიც შენია მარტო...“, და ჩვენს საერთო, ახალ, ვრცელ სახლში გულწრფელად ვამბობთ: „ჩვენი შევჩენკო!“

რაულ ჩილაჩავა



Думи
мої...



ფიქრობ
ჩემბო...

* *
*

Думи мої, думи мої,
Лихо мені з вами!
Нащо стали на папері
Сумними рядами?..
Чом вас вітер не розвіяв
В степу, як пилину?
Чом вас лихо не приспало,
Як свою дитину?..

Бо вас лихо на світ на сміх породило,
Поливали сльози... чом не затопили,
Не винесли в море, не розмили в полі?..
Не питали б люде, що в мене болить,
Не питали б, за що проклинаю долю,
Чого нуджу світом? «Нічого робить», —
Не сказали б на сміх...

Квіти мої, діти!
Нащо ж вас кохав я, нащо доглядав?
Чи заплаче серце одно на всім світі,
Як я з вами плакав?.. Може, і вгадав...
Може, знайдеться дівоче
Серце, карі очі,
Що заплачуть на сі думи, —
Я більше не хочу.
Одну сльозу з очей карих —
І пан над панами!

Думи мої, думи мої,
Лихо мені з вами!

За карії оченята,
За чорнії брови
Серце рвалося, сміялось,
Виливало мову,
Виливало, як уміло,
За темнії ночі,





* *
*

ფიქრნო ჩემნო, ფიქრნო ჩემნო,
მტანჯავთ შინ თუ გარეთ!
ქალაღდს ასე სევდიანად
რატომ დაეპწკარეთ?..
რატომ ქარმა არ გაგფანტათ
მტვრად ტრამალსა შინა?
უბედობამ ჩვილ ყრმასავით
რად არ მიგაძინათ?..

დასაცინად გშობათ უბედობამ სწორედ,
გცემდათ ცრემლის თქეში... ნეტამც დაეტბორეთ,
ჩაეტანეთ ზღვაში, გაერიყეთ ველად!..
არ მკითხავდა ხალხი, რა მაქვს სატკივარი,
რამ მაქცია ასე ბედის მაწყევლელოდ,
რა მაწუხებს, რა მჭირს? „უსაქმური არი“, —
არ იტყოდნენ ქირღვით...

შვილნო, შლილნო ვარდად!
რად მიყვარდით, რატომ გევლებოდით თავზე?
თუ იქნება ქვეყნად თუნდაც ერთი გული,
თქვენთან ერთად მოთქმით რომ ეტიროს ასე...
იქნებ ვპოვოთ თაფლისთვალა,
აღვად ანასვეტი,
ვინც ამ ლექსზე ატირდება, —
სხვა რა მინდა შეტი!
კურცხალიც და... შევიქნები
ყველა პანის პანი!

ფიქრნო ჩემნო, ფიქრნო ჩემნო,
რად შეჰკარით გზანი!

თაფლისფერი თვალების და
შავთა წარბთა გამო
გული წუხდა, იცინოდა,
სიტყვაც ჰქონდა ამო.
იმ სიტყვებში ცოცხლდებოდა
ღამეები ბნელი,

За вишневий сад зелений,
За ласки дівочі...
За степи та за могили,
Що на Україні,
Серце мліло, не хотіло
Співать на чужині...
Не хотілось в снігу, в лісі,
Козацьку громаду
З булавами, з бунчугами
Збирать на пораду.
Нехай душі козацькії
В Україні витають —
Там широко, там весело
Од краю до краю...
Як та воля, що минулась,
Дніпр широкий — море,
Степ і степ, ревуть пороги,
І могили — гори, —
Там родилась, гарцювала
Козацькая воля;
Там шляхтою, татарами
Засівала поле,
Засівала трупом поле,
Поки не остило...
Лягла спочить... А тим часом
Виросла могила,
А над нею орел чорний
Сторожем літає,
І про неї добрим людям
Кобзарі співають,
Все співають, як діялось,
Сліпі небораки, —
Бо дотепні... А я... а я
Тільки вмію плакати,
Тільки сльози за Україну...
А слова — немає...
А за лихо... Та цур йому!
Хто його не знає!
А надто той, що дивиться
На людей душою, —
Пекло йому на сім світі,
А на тім...

მწვანე ბალი, ქალიშვილის
 კოცნა სანატრელი...
 უკრაინის ყორღანები,
 ცად რომ აიწვერა,
 გული თრთოდა, არ უნდოდა
 უცხოეთში მღერა.
 არ უნდოდა თოვლში, ტყეში,
 კაზაკების ჯარი
 დაენახა უფლის კვერთხქვეშ
 სათათბიროდ მდგარი.
 სულნო კაზაკებისანო,
 შინ მშვიდობით ვლიდეთ.
 იქ სივრცეა, ხალისია,
 ყველგან — კიდით-კიდე.
 აწ გარდასულ შვეების დარად
 ბორგავს დნიპროს ჩქერი.
 ზედ ცისკიდეს ებჯინება
 ყორღანების წვერი.
 იქ შობილა, უგელვია
 კაზაკების ჯილაგს,
 იქ თათრებით, შლიახტებით
 ველი მოფენილა.
 ველი გვამებს დაუფარავს...
 და როს შეწყდა ჯგლეთა,
 მყის ყორღანი აღიმართა,
 ხსოვნად ჩავლილ დღეთა.
 ყორღანს ორბი დასტრიალებს —
 კუპრისფერი მცველი.
 ხალხს აღელვებს კობზარების
 სიმღერები მწველი.
 ძველ დიდებას უმღერიან
 ბრმები უსახლკარო.
 უჭრით ენა... მე კი მხოლოდ
 ძალმიძს ცრემლი ვღვარო.
 ვტირი უკრაინის გამო...
 სიტყვებგაფანტული...
 ფუ, ამნაირ უბედობას,
 დაგვიწყლულა გული!
 უფრო იგი, ვინც გვიყურებს
 სულში შუქჩამდგარი,
 აქ ჯოჯოხეთს არ ასცდება,
 იქ კი...

Журбою
Не накличу собі долі,
Коли так не маю.
Нехай злидні живуть три дні —
Я їх заховаю,
Заховаю змію люту
Коло свого серця,
Щоб вороги не бачили,
Як лихо сміється...

Нехай думка, як той ворон,
Літає та криче,
А серденько соловейком
Щебече та плаче
Нишком — люди не побачать,
То й не засміються...
Не втирайте ж мої сльози,
Нехай собі ллються,
Чуже поле поливають
Щодня і щоночі,
Поки, поки... не засиплють
Чужим піском очі...
Отаке-то... А що робить?
Журба не pomoже.
Хто ж сироті завидує —
Карай того, боже!

Думи мої, думи мої,
Квіти мої, діти!
Виростав вас, доглядав вас, —
Де ж мені вас діти?
В Україну ідіть, діти!
В нашу Україну,
Попідтинню, сиротами,
А я — тут загину.
Там знайдете щире серце
І слово ласкаве,
Там знайдете щиру правду,
А ще, може, й славу...

გლოვის ზარით
ბედს როგორღა დავიურვებ,
როს ვაება მომდევს.
ვინც უხამს გვითესს, სამ დღეს ვლიდეს,
მეოთხე დღეს მოკვდეს.
გულის ფსკერზე დავიმარხავ
ბოროტ გველის წიწილს,
რომ ართვალმა ვერ უსმინოს
უბედობის სიცილს...

დაე, ფიქრი ყორანივით
ჩხაოდეს და ფრენდეს,
ხოლო გული, ვით ბუღბუღი,
ტიროდეს და სტვენდეს
ჩუმად — ხალხი თუ ვერ ნახავს,
არც დაგვცინებს მაშინ,
ნუ შემიწმენდთ ცრემლის ნაკადს,
ვიყო ცრემლის ღვრაში.
● შოვრწყო უცხო მინდორ-ველი
ვაითა და ვიშით,
სანამ, სანამ... დამივსებდნენ
თვალებს უცხო ქვიშით...
სხვა რაღა ვქნა... მშველის კია,
დარდად დავიღვენთო.
ვისაც ობლის შეშურდება,
არ დაინდო, ღმერთო!

ფიქრნო ჩემნო, ფიქრნო ჩემნო,
შვილებივით გზრდიდით,
აწ რა გიყოთ, რა გირჩიოთ,
წინ ხომ გზაა დიდი!
უკრაინას მიაშურეთ,
გელით უკრაინა,
იქ ობლებად იწანწალეთ,
მე აქ მედოს ბინა.
იქ იპოვით ალალ გულს და
სიტყვას აღერსიანს,
იქ იპოვით ნაღდ სიმართლეს
და დიდებას მზიანს...

Привітай же, моя ненько,
Моя Україно,
Моїх діток нерозумних,
Як свою дитину.

[1839, С.-Петербург]

უკრაინავ, დედავ ჩემო,
დიდო მემარტვილევ,
ჩემს უგუნურ შვილებს დახვდი,
ვით საკუთარ შვილებს.

1839 წ. ს.-პეტერბურგი

ДО ОСНОВ'ЯНЕНКА

Б'ють пороги; місяць сходить,
Як і перше сходив...
Нема Січі, пропав і той,
Хто всім верховодив!
Нема Січі; очерети
У Дніпра питають:
«Де то наші діти ділись,
Де вони гуляють?»
Чайка скиглить літаючи,
Мов за дітьми плаче;
Сонце гріє, вітер віє
На степу козачім.
На тім степу скрізь могили
Стоять та сумують;
Питаються у буйного:
«Де наші панують?
Де панують, бенкетують?
Де ви забарились?
Верніться! дивіться —
Жита похилились,
Де паслися ваші коні,
Де тирса шуміла,
Де кров ляха, татарина
Морем червоніла...
Верніться!» — «Не вернуться! —
Заграло, сказало
Синє море. — Не вернуться,
Навіки пропали!»
Правда, море, правда, синє!
Такая їх доля:
Не вернуться сподівані,
Не вернеться воля,
Не вернуться запорожці,
Не встануть гетьмани,
Не покриють Україну
Червоні жупани!
Обідрана, сиротою
Понад Дніпром плаче;

ოსნოვიანენკოსადმი

ქუხს ჭორომი, როგორც როსმე,
ბრწყინავს მთვარის ჯავარი...
გაქრა სიჩი, არც იგია —
დიდი მხედართმთავარი.
გაქრა სიჩი, დნიპროს ტალღებს
ეკითხება ლაქაში:
„სად არიან შვილნი ჩვენნი,
რომ ვერ ვხედავთ აქა, შინ?“
ფრენს თოლია, ფრენს და წივის,
შვილებს გლოვობს ფრთამალი.
მზეზე თბება, ქარში ხმება
კაზაკების ტრამალი.
იმ ტრამალზე ყორღანები
დგანან გულნატკენები.
დნიპროს ჰკითხვენ: „რომელ მხარეს
ბატონობენ ჩვენები?“
ბატონობენ, ქეიფობენ,
არ სურთ შინ დაბრუნება...
დაგვიბრუნდით, ნახეთ, ყანას
ქარი ესაღბუნება,
სად ცხენები ძოვდნენ თქვენი,
რკინა რეკდა ნალისა,
სად ღიახის, თათრის სისხლი
ზღვას ღებავდა აღისფრად.
„დაგვიბრუნდით!“ — „ვერასოდეს! —
გვითხრა ლურჯმა ზღვამაო. —
ველარ ნახავთ დაბრუნებულთ,
ლოდინია ამაო!“
ღიახ, ზღვაო, ღიახ, ლურჯო!
ბედმა დახშო კარები:
შვებას ველარ მოგვიტანენ
მარად სანუკვარები.
არ მოგვივლენ სიჩელები,
ჰეტმანებიც, გჯეროდეს.
ვერ იხილავს უკრაინა
წითელ ტყაპუჭს ვეროდეს.
მწირ-ობოლი, განძარცული,
შეჭგლოვს დნიპრო-მდინარეს;

Тяжко-важко сиротині,
А ніхто не бачить...
Тільки ворог, що сміється...
Смійся, лютий враже!
Та не дуже, бо все гине, —
Слава не поляже;
Не поляже, а розкаже,
Що діялось в світі,
Чия правда, чия кривда
І чиї ми діти.
Наша дума, наша пісня
Не вмре, не загине...
От де, люде, наша слава,
Слава України!
Без золота, без каменю,
Без хитрої мови,
А голосна та правдива,
Як господи слово.
Чи так, батьку отамане?
Чи правду співаю?
Ех, якби-то!.. Та що й казати?
Кебети не маю.
А до того — Московщина,
Кругом чужі люде.
«Не потурай», — може, скажеш,
Та що з того буде?
Насміються на псалом той,
Що виллю сльозами;
Насміються... Тяжко, батьку,
Жити з ворогами!
Поборовся б і я, може,
Якби малось сили;
Заспівав би, — був голосок,
Та позички з'їли.
Отаке-то лихо тяжке,
Батьку ти мій, друже!
Блуджу в снігах та сам собі:
«Ой не шуми, луже!»
Не втну більше. А ти, батьку,
Як сам здоров знаєш;
Тебе люде поважають,
Добрий голос маєш;





უჭირს, უმძიმს უღედმამოს,
 მაგრამ მხსნელი ვინ არის!..
 მხოლოდ მტერმა გაიცინა,
 გულის ჭია ახარა...
 ქვეყნად კვდება ყველაფერი,
 სახელი კი — აღარა!
 ის იცოცხლებს, მოგვიყვება,
 ვით ბრუნავდა სოფელი,
 ვინ სწორია, ვინ მტყუანი,
 ვინ ვისია მშობელი.
 ჩვენი ლექსი, ჩვენი ჭანგი
 არც როს დაიბინდება...
 ისინია, ჯამაათნო,
 უკრაინის დიდება!
 რაღად უნდა ოქრო-ვერცხლი,
 მოხვეჭილი დავითა,
 მართალი და მქუხარეა,
 უფლის სიტყვასავითა.
 მარქვი, მამავ, ატამანო,
 მართალს ვმღერი, ნეტავი?
 აბა, რა ვთქვა... საავკარგო
 აღარ შემრჩა მე თავი.
 ვერ წაუხვალ მოსკოვს, ირგვლივ
 უცხო ხალხი ხშირია.
 იქნებ მითხრა, შეეშვიო,
 ვითომ რა ხეირია!
 საგალობლებს დასცინებენ,
 მე რომ ცრემლად მაწვება.
 დასცინებენ... მიჭირს, მამავ,
 მტრების გვერდით გაძლება!
 იქნებ კიდევ მეჯახირა,
 ძალას ვგრძნობდე წინანდელს,
 ვიმღერებდი, ხმა არ მყოფნის,
 რადგან სხვას ვუწილადე.
 ასეთია მწარე ხვედრი,
 ჩემი ხვედრი ტიალი.
 ვდგავარ თოვლში და ვჩურჩულებ:
 „მდელივ, გეყო შრიალი“.
 მეტს ვერ შევძლებ. შენ კი, მამავ,
 უწყი, თქმა მსურს მე რისი.
 ხალხს უყვარხარ, პატივს გცემენ,
 ხმაც გაქვს შესაფერისი.

Співай же їм, мій голубе,
Про Січ, про могили,
Коли яку насипали,
Кого положили.
Про старину, про те диво,
Що було, минуло...
Утни, батьку, щоб нехотя,
На ввесь світ почули,
Що діялось в Україні,
За що погібала,
За що слава козацькая
На всім світі стала!
Утни, батьку, орле сизий!
Нехай я заплачу,
Нехай свою Україну
Я ще раз побачу,
Нехай ще раз послухаю,
Як те море грає,
Як дівчина під вербою
Г р и ц я заспіває.
Нехай ще раз усміхнеться
Серце на чужині,
Поки ляже в чужу землю,
В чужій домовині.

[1839, С.-Петербург]

მაშ, შეაქე, სანატრელო,
სიჩი და ყორღანები,
ვის ან როდის აღუმართავს,
ვისი დასავანები.
იმ საკვირველ წარსულს აქე,
რომ მორჩა და გასრულდა,
მიდი, მამავ, გააგონე
მთელ სამყაროს, რაც გასურდა.
რაც გადახდა უკრაინას,
რაც არ დაიბინდებია,
მილეთს რატომ მოსდებია
კაზაკების დიდება!
მიდი, მამავ, მთის არწივო!
ცხელი ცრემლი მაღინე,
კიდევ ერთხელ უკრაინის
ნახვა მომაწადინე.
კიდევ ერთხელ გამაგონე
ზღვის ზვირთების ჯახება,
ძეწნის ჩრდილში ქალიშვილის
ლალი შემოძახება.
კიდევ ერთხელ გააცინე
გული ჩემი ყარბი,
ამ სხვის მიწას სხვის კუბოთი
სანამ მივებარები.

1839 წ. ს.-პეტერბურგი

РОЗРИТА МОГИЛА

Світе тихий, краю милий,
Моя Україно!
За що тебе сплюндровано,
За що, мамо, гинеш?
Чи ти рано до схід сонця
Богу не молилась?
Чи ти діточок непевних
Звичаю не вчила?
«Молилася, турбувалася,
День і ніч не спала,
Малих діток доглядала,
Звичаю навчала.
Виростали мої квіти,
Мої добрі діти,
Панувала і я колись
На широкому світі,—
Панувала... Ой Богдане!
Нерозумний сину!
Подивись тепер на матір,
На свою Україну,
Що, колишучи, співала
Про свою долю,
Що, співаючи, ридала,
Виглядала волю.
Ой Богдане, Богданочку!
Якби була знала,
У колысці б задушила,
Під серцем приспала.
Степи мої запродані
Жидові, німоті,
Сини мої на чужині,
На чужій роботі.
Дніпро, брат мій, висихає,
Мене покидає,
І могили мої милі
Москаль розриває...
Нехай риє, розкопує,
Не своє шукає,

გათხრილი ყორღანი

მიწავ წყნარო, მხარევ ტკბილო,
ჩემო უკრაინავ!
რად გბილწავენ, რად გლუპავენ,
დედა, რატომ გმინავ?
ან თუ აღარ გიწირია
დილაადრიანად?
ადათ-წესი შვილებს შენსას
არ ასწავლე განა?
„მიწირია, მილოცია,
ვმდგარვარ მიწყივ ზეზე,
შვილებს ვზრდიდი, ვასწავლიდი
ძველთა ადათ-წესებს.
და შვილებიც იზრდებოდნენ
ყვავილების დარად,
არც ისეა, ცისქვეშეთში
ჩემი ჟამიც მდგარა, —
ჟამიც მდგარა... ეჰ, ბოგდანო!
ჭკუათხელო შვილო!
ახლა ნახე უკრაინა,
მისი ღილო-ჭრილო.
რომ გარწევდა, გიმღეროდა
თავის უბედობას,
მომღერალი ცრემლებიდან
გასცქეროდა მყოფადს.
ეჰ, ბოგდანო, ბოგდან ჩემო,
რომ სცოდნოდა შენი,
აკვანშივე გაგაქრობდა
დედის განაჩენი.
ჩემი სტეპი ურიას და
გადამთიელს დარჩა.
შვილებს ერგოთ უცხო მხარეს,
უცხოთათვის გარჯა.
შრება დნიპრო, ძმაი ჩემი,
მტოვებს ცოცხალ-მკვდარი
და ყორღანებს უსაყვარლესს
თხრის მოსკალის ბარი...
დეჟე, თხაროს, ამოთხაროს,
რაც არ დაკარგვია,

А тим часом перевертні
Нехай підростають
Та допоможуть москалеві
Господарювати,
Та з матері полатану
Сорочку знімати.
Помагайте, недолюдки,
Матір катувати».

Начетверо розкопана,
Розрита могила.
Чого вони там шукали?
Що там схоронили
Старі батьки? — Ех, якби-то,
Якби-то найшли те, що там схоронили, —
Не плакали б діти, мати не журилась.

*9 октября 1843
Березань*



მიეხმარონ გარეწრებიც,
ჯერ არ არის გვიან.
რათა მოსკალს არ დაადგეს
ნამეტანი ჯაფა,
რათა დედას აღარ შერჩეს
დაბებკილი კაბაც.
ტანჯეთ დედა, არაკაცნო,
მიდით, მიდით, აბა!“

ყორღანები ოთხივ მხარეს
გათხრილია ახლა.
რას ეძებდნენ მანდ, ნეტავი?
შიგ რა დაუმარხავთ
მოხუც მშობლებს? — ეჰა, კარგო,
ის რომ გვაპოვნინა, რაც იქ დაუმარხავთ, —
იშვებს დედაც, შვილიც, დღეს რომ მცველი არ ჰყავთ.

1843 წ. 9 ოქტომბერი,
ბერეზანი



* *
*

Чого мені тяжко, чого мені нудно,
Чого серце плаче, ридає, кричить,
Мов дитя голодне? Серце моє трудне,
Чого ти бажаєш, що в тебе болить?
Чи пити, чи їсти, чи спатоньки хочеш?
Засни, моє серце, навіки засни,
Невкрите, розбите, — а люд навісний
Нехай скаженіє... Закрий, серце, очі.

13 ноября 1844
СПБ

* *

*

რატომ მიმძიმს ასე, რატომ მომეწყინა,
გული რატომ მოთქვამს, ქვითინებს და ყვირის,
ვით მშიერი ბავშვი? გულო, რატომ გმინავ,
იქნებ გამიმხილო შენი გასაჭირი!
გწყურია თუ გშია თუ ძილის დროს ელი?
დაიძინე, გულო, საუკუნო ძილით.
დაე, მძვინვარებდეს ხალხი გონშეშლილი,
შენ კი, გულო, გულზე დაიკრიფე ხელი.

1844 წ. 13 ნოემბერი,
ს.-პეტერბურგი

ГОГОЛЮ

За думою дума роєм вилітає;
Одна давить серце, друга роздирає,
А третя тихо, тихесенько плаче
У самому серці, може, й бог не бачить.

Кому ж її покажу я,
І хто тую мову
Привітає, угадає
Великеє слово?
Всі оглухли — похилились
В кайданах... байдуже...
Ти смієшся, а я плачу,
Великий мій друже.
А що вродить з того плачу?
Богилова, брате...
Не заревуть в Україні
Вольнії гармати.
Не заріже батько сина,
Своєї дитини,
За честь, славу, за братерство,
За волю Вкраїни.
Не заріже: викохає
Та й продасть в різницю
Москалеві. Цебто, бачиш,
Лепта удовиці
Престолові-отечеству
Та німоті плата.
Нехай, брате. А ми будем
Сміятися та плакати.

*30 декабря 1844
С.-Петербург*

გოგოლისადმი

მიფრინავენ ფიქრნი ერთმანეთის კვალად,
ერთი ისრად მხვდება, მეორე კი ჭვალად,
მესამე კი ჩუმად ცრემლის დენით დალბა
კაკალ გულში, ღმერთი ვერც კი ხედავს, ალბათ.

ვის გავანდო ფიქრი ჩემი,

ანდა ვილა იტყვის

სადიდებელს, საფერებელს

უდიადეს სიტყვის?

ყველა ყრუა, ადევთ ხუნდი

ან არ უშვებთ ხარო...

შენ იცინი, მე კი ვტირი,

დიდო მეგობარო.

იმ ცრემლებზე რა ამოვა?

სარეველა, ძმაო...

აღარ შესძრავს უკრაინას

ზარბაზნების ხმაო.

არ განგმირავს შვილს მშობელი,

არ აძგერებს მახვილს,

არ შესწირავს უკრაინის

დიდებას და სახელს.

არ შესწირავს: გაზრდის მორჩილს,

რომ მიჰყიდოს შვილი

მოსკალს. აჰა, ესააო

ქვრივ-ოხერის წვლილი,

ტახტისა და „ოტეჩესტვოს“

ხარკად გაღებული...

კვლავ იცინებს და იტირებს,

ძმაო, ჩვენი გული!

1844 წ. 30 დეკემბერი,

ს.-პეტერბურგი

*Искреннему моему
Якову де Бальмену*

Кто даст главе моей воду,
И очесем моим источник слез,
И плачуся и день, и ночь
о побиенных...

Иеремии глава 9, стих 1

За горами гори, хмарою повиті,
Засіяні горем, кровію политі.
Споконвіку Прометея
Там орел карає,
Що день божий добрі ребра
Й серце розбиває.
Розбиває, та не вип'є
Живущої крові, —
Воно знову оживає
І сміється знову.
Не вмирає душа наша,
Не вмирає воля.
І неситий не виоре
На дні моря поле.
Не скує душі живої
І слова живого.
Не понесе слави бога,
Великого бога.

Не нам на прю з тобою стати!
Не нам діла твої судить!
Нам тільки плакати, плакати, плакати,
І хліб насущний замісить
Кровавим потом і сльозами.
Кати знущаються над нами,
А правда наша п'яна спить.
Коли вона прокинеться?
Коли одпочити
Ляжеш, боже, утомлений?
І нам даси жити!

კავკასია

ჩემს გულითად
იაკობ დე ბალმენს

ვინ მისცეს თავსა ჩემსა წყალი,
და თუალთა ჩემთა წყაროი ცრემლთაი,
და ვსტიროდი ერსა ამას ჩემსა დღე და ღამე
მოწყულულთა...

იერემია, თავი 9, ქება I.

მთებს გადაღმა მთები, მოგარსული ნისლით,
ხანძარდანანთები, დანატბორი სისხლით.

იქ არწივი პრომეთეოსს
სჯის მიჯაჭვის დღიდან,
დღე ცისმარე ნეკნებს უმტვრევს,
გულს უკორტნის ტიტანს.
გულს უკორტნის, მაგრამ სისხლი
ველარ გაათავა, —
გული ისევ გულად რჩება
და იცინის კვლავაც.
არ მოკვდება სული ჩვენი,
შვებაც სანუკველი.
და ზღვის ფსკერსაც ვერ გადახნავს
გაუმაძღრის ხელი.
ცოცხალ სულს და ცოცხალ სიტყვას
ვერ დაუსვამს წერტილს,
ვერ შებღალავს ღმერთის სახელს,
უდიადეს ღმერთის.

შენთან საქიშპოდ ჩვენ როგორ მოვალთ,
ვინ მოგვაშავა მსაჯულის პინა,
ჩვენ გვერგო გლოვა, გლოვა და გლოვა
და ვაცხოთ, როგორც ვაცხოზდით წინათ,
პური, სისხლით და ცრემლით ნაზელი.
გვერდით ჭალათი დგას ამაზრზენი,
ხოლო სიმართლეს მთვრალივით სძინავს.


ნეტავ, როდის გაიღვიძებს?
შენ, კი, ღმერთო, ნეტავ,
როდის ჩასთვლემ, რომ გვეღირსოს
ნათელ დღეთა ჭვრეტა?


Ми віруєм твоїй силі
І духу живому.
Встане правда! встане воля!
І тобі одному
Помоляться всі язики
Вовіки і віки.
А поки що течуть ріки,
Кровавії ріки!

За гóрами гори, хмарою повиті,
Засіяні горем, кровію политі.
Отам-то милостивії ми
Ненагодовану і голу
Застукали сердешну волю
Та й цькуємо. Лягло костьми
Людей муштрованих чимало.
А сльоз, а крові? напоїть
Всіх імператорів би стало
З дітьми і внуками, втопить
В сльозах удов'їх. А дівочих,
Пролитих тайно серед ночі!
А матерніх гарячих сльоз!
А батькових, старих, кровавих,
Не ріки — море розлилось,
Огнєнне море! Слава! слава!
Хортам, і гончим, і псарям,
І нашим батюшкам-царям
Слава!

І вам слава, сині гори,
Кригою окуті.
І вам, лицарі великі,
Богом не забуті.
Борітеся — поборете,
Вам бог помагає!
За вас правда, за вас слава
І воля святая!

Ч у р е к і с а к л я — все твоє;
Воно не прошене, не дане,
Ніхто й не возьме за своє,
Не поведе тебе в кайданах.





გვჯერა შენი ძლიერების,
და უკვდავი სულის,
მოვა შვება, სამართალი,
შენგან ხელდასმული
და შენს ქებას ცისქვეშეთი
იტყვის აღმაფრენით.
ჯერ კი დიან მდინარენი,
სისხლის მდინარენი.

მთებს გადაღმა მთები, მოგარსული ნისლით,
ხანძარდანანთები, დანატბორი სისხლით.

სწორედ აქ ჩვენი მოწყალე ხელით,
ტანგაძარცული, გუდამშიერი,
ჩავბლუჯეთ შვება მოყვრის იერით
და ძაღლებს ვუსევთ. სიკვდილის ცელი
ეტაკა ტანჯულთ, უსულოდ დასცა.
ცრემლი და სისხლი? მათი ღვარები
იმპერატორებს და ნაგრამს მათსას
გამოათრობდა. გაუხარები
ქვრივების ცრემლი, ცრემლი ქალწულთა,
ღამენათევთა და დაქანცულთა.
დედების ცრემლი უმხურვალესი,
მამების ცრემლი, სისხლში ნალესი,
ზღვასავით ბორგავს, ცად იზიდება,
ცეცხლის ზღვასავით! ვაშა! დიდება!
მწევრებს, მეძებრებს ტყე-ტყე მყეფელებს,
და ჩვენს მწყალობელ მამებს — მეფეებს
დიდება!

თქვენც დიდება, ლურჯო მთებო,
ყინული რომ გფარავთ.
თქვენც, დიადო რაინდებო,
ღმერთს ახსოვხართ მარად.
იბრძოლეთ და გაიმარჯვებთ,
ღმერთიმც დაგეხმაროთ!
თქვენკენაა სამართალი,
შვებაც სანეტარო!

მჭადიც და სახლიც — შენია მარტო;
არცვის წყალობა, არცვის ნობათი,
ვერ გითხრან, მათი პატრონი ვართო,
ვეღარც შებორკონ შენი მყოფადი.

А в нас!.. На те письменні ми,
Читаєм божії глаголи!..
І од глибокої тюрми
Та до високого престола —
Усі ми в золоті і голі.
До нас в науку! ми навчим,
Почому хліб і сіль почім!
Ми християне; храми, школи,
Усе добро, сам бог у нас!
Нам тільки с а к л я очі коле;
Чого вона стоїть у вас,
Не нами дана; чом ми вам
Чурек же ваш та вам не кинем,
Як тій собаці! чом ви нам
Платить за сонце не повинні! —
Та й тільки ж то! ми не погане,
Ми настоящі християне,
Ми малим ситі!.. А зате!
Якби ви з нами подружили,
Багато б дечому навчились!
У нас же й світа як на те —
Одна Сибір неісходима,
А тюрм! а люду!.. Що й лічить!
Од молдованина до фінна
На всіх язиках все мовчить,
Бо благоденствує! У нас
Святую біблію читає
Святий чернець і навчає,
Що цар якийсь-то свині пас
Та дружню жінку взяв до себе,
А друга вбив. Тепер на небі.
От бачите, які у нас
Сидять на небі! Ви ще темні,
Святим хрестом не просвіщенні,
У нас навчіться!.. В нас дери,
Дери та дай,
І просто в рай,
Хоч і рідню всю забери!
У нас! чого-то ми не вмієм?
І зорі лічим, гречку сієм,
Французів лаєм. Продаєм
Або у карти програєм

ჩვენ კი!.. ჩვენ მიტომ მოგმართავთ რიხით,
 საღვთო წიგნების რომ ვართ მკითხველი!..
 და ჯურღმულოვან, პირქუში ციხით
 მაღალ ტახტამდე განუკითხველი,
 ოქროში ვზივართ შიშველ-ტიტველი.
 მოდით, გასწავლოთ განჭვრეტა საღი,
 პური რა ღირს და მარილი რა ღირს!
 გვაქვს ქრისტიანებს ტაძრებიც, სკოლაც,
 გვაქვს ყველაფერი, ღმერთიც აქ არი.
 ჩვენ თვალში ს ა ხ ლ ი გვეჩრება მხოლოდ,
 რატომ ის, მყარი, ლიბომაგარი,
 ჩვენ არ დაგიდგით. ნეტავი, რატომ
 არ გადმოგიგდებთ თქვენივე მჭადის
 ნატებს ძალღივით! არ გვიხდით რატომ
 ფულს, რომ თქვენთვისაც ანათებს მნათი!
 არ ვართ წარმართთა მისამგვანები,
 ჩვენ, ჭეშმარიტი ქრისტიანები.
 მცირედიც გვყოფნის... სამაგიეროდ,
 თქვენც რომ გვეძმობ და ჩვენთან იაროთ,
 არ იქნებოდით მართლაც საწყალი!
 ჩვენ თვალუწვდენი გვაქვს მიწა-წყალი,
 აღუწყავია ციმბირის მაღლი.
 ციხეში გვიზის მავნე და მტერი!
 მოლდაველის და ფინელის ჩათვლით
 ყველა ენაზე ღუმს ყველა ერი,
 ნეტარებს რადგან. გვიკითხავს მღერით
 წმინდა ბიბლიას წმინდანი ბერი,
 რომ ვილაც მეფე მწყემსავდა ღორებს,
 და თავის ძმაკაცს ცოლი წაჭგვარა,
 თვითონ კი მოჭკლა. ჰოდა, ამგვარად,
 ახლა ცაშია. ისეთნი სწორედ
 სხედან ზეცაში. თქვენ კი... თქვენ ჯერაც
 არ იცით ჯვარი, არც პირჯვრის წერა,
 მაგრამ გასწავლით!.. წესია ძველი,

ძარცვე და შემდეგ
 დამკვიდრდი ედემს,

თუნდაც იახლე სამოყვრო მთელი!
 ჩვენ თვალსაწიერს ვინ შეგვიბურავს?
 ვარსკვლავებს ვითვლით, ვთესთ წიწიბურას,
 ვაგინებთ ფრანგებს. ერთმანეთს ვაქებთ,
 ვყიდით, არადა ბანქოში ვაგებთ,

Людей... не негрів... а таких
Таки хрещених... н о п р о с т и х.
Ми не гішпани, крий нас, боже,
Щоб крадене перекупать,
Як ті жиди. Ми по закону!..
По закону апостола
Ви любите брата!
Суєслови, лицеміри,
Господом прокляті.
Ви любите на братові
Шкуру, а не душу!
Та й лупите по закону:
Дочці на кожушок,
Байстрюкові на придане,
Жінці на патинки.
Собі ж на те, що не знають
Ні діти, ні жінка!

За кого ж ти розіп'явся,
Христе, сине божий?
За нас добрих, чи за слово
Істини... чи, може,
Щоб ми з тебе насміялись?
Воно ж так і сталось.

Храми, каплиці, і ікони,
І ставники, і мири дим,
І перед образом твоїм
Неутомленніє поклони.
За кражу, за війну, за кров,
Щоб братню кров пролити, просять
І потім в дар тобі приносять
З пожару вкрадений покров!!
Просвітілись! та ще й хочем
Других просвітити,
Сонце правди показати
Сліпим, бачиш, дітям!..
Все покажем! тільки дайте
Себе в руки взяти.
Як і тюрми муровати,
Кайдани кувати,
Як і носити!.. і як плесті
Кнути узловаті, —





ზანგებს კი არა... ადამიანებს...
 მწირს და მ და ბ ი ო ს... თუმცა ქრისტიანებს.
 ჩვენ დამპყრობლები არა ვართ. ღმერთმა
 დაგვიცვას, რათა ნაქურდალს ვყიდდეთ
 ურიებივით. ჩვენ მივდევთ კანონს!..
 მოციქულთა კანონებით
 გიყვართ მოძმე თქვენა,
 ლაქიებო, პირფერებო,
 ღმერთმა შეგაჩვენათ!
 თქვენ ძმის სული სულ არ გიყვართ,
 ძმას ტყავისთვის ღუპავთ.
 და კანონით აძრობთ, რათა
 გოგოს ერგოს ჭუბა,
 რათა ერგოს ბუშს მზითევი,
 ცოლს — ლამაზი ქოში,
 რასაც თვითონ დაიტოვებთ,
 არც კი ეტყვიან ცოლ-შვილს.

ქრისტევ, ჯვარზე ვისთვის ეცვი,
 ვისთვის განიქიქე?
 იქნებ ჩვენთვის... ან მართალი
 სიტყვისთვის ან... იქნებ
 რათა იყო სასაცილო?
 ვაგლახ, ასეც ვცდილობთ.

ციხე-ტაძრები, ხატების წყება,
 შანდალ-კანკელი, სანთელ-საკმელი.
 ყველა ყაჩაღი, ყველა მზაკველი
 საკურთხეველთან მუხლმოყრით დგება.
 გვედრებიან, უბოძო ძალა
 ძმათა საკვლელად და სათარეშოდ,
 მერე გიძღვნიან უანგარიშოდ
 ცეცხლის ალიდან აგლეჯილ ალაფს.

ჩვენ გავნათლდით! ახლა გვინდა
 განვანათლოთ სხვები,
 რომ სიმართლის მზეს ხედავდნენ
 საცოდავი ბრმებიც!..

დავანახვებთ! ჯერ კი ხელში
 თქვენს ჩაგდებას ვლამობთ.
 ხუნდი როგორ გამოჰედოთ,
 ციხეც სამუდამო
 როგორ უნდა ააშენოთ,
 როგორ დაწნათ ამო

Всьому навчим; тільки дайте
Свої сині гори
Остатнії... бо вже взяли
І поле, і море.

І тебе загнали, мій друже єдиний,
Мій Якове добрий! Не за Україну,
А за її ката довелось пролити
Кров добру, не чорну. Довелось запити
З московської чаші московську отруту!
О друже мій добрий! друже незабутий!
Живою душею в Україні витай,
Літай з козаками понад берегами,
Розриті могили в степу назирай.
Заплач з козаками дрібними сльозами
І мене з неволі в степу виглядай.

А поки що мої думи,
Моє люте горе
Сіятиму, — нехай ростуть
Та з вітром говорять.
Вітер тихий з України
Понесе з росою
Мої думи аж до тебе...
Братньою сльозою
Ти їх, друже, привітаєш,
Тихо прочитаєш...
І могили, степи, море,
І мене згадаєш.

*18 ноября 1845
в Переяславі*

მათრახები, — შეგასწავლით,
ოღონდ ლურჯი მთები
ჩაგვაბარეთ... დაგვიპყრია
მინდვრები და ზღვები.

შენც გადაგხვეწეს, მეგობარო, ძალისძალათი,
იაკობ ჩემო, უკრაინელ ერის ჯალათის
გამო დაღვარე სისხლი წმინდა, კეთილშობილი
და არა შავი. მოგიწია ასჯერ გმობილი
მოსკოვურ თასით მოსკოვური შეგესვა შხამი!
ჩემო კეთილო მეგობარო! დათრგუნე უამი!
უკვდავი სულით უკრაინის ცად იტრიალე,
აიყოლიე კაზაკების გუნდი ფრთოსანი
და როცა ნახავ ყორღანს გათხრილს და სატიალეს,
იტირე ერთგულ კაზაკებთან, რისხვით იალე
და მომიხილე შებორკილი ძმა და მგოსანი.

ჯერ კი ისევ ძველებურად
ფიქრებს, დარღებს მწარეს
ვთესავ, — დაე, გაიზარდონ,
ესაუბრონ ქარებს.
უკრაინის წყნარი ქარი
შენ იქ ჩამოგიტანს
ჩემს ნაფიქრალს ნამთან ერთად...
ძმური ცრემლის ღვრითა
დაუდგები ჭირისუფლად,
წაიკითხავ, ვგონებ...
ზღვას, ყორღანებს, გაშლილ ტრამაღს
და მეც მომიგონებ.

1845 წ. 18 ნოემბერი,
პერეიასლავი

І МЕРТВИМ, І ЖИВИМ,
і ненарожденним
землякам моїм
в Україні і не в Україні
моє дружнєє посланіє

Аще кто речет, яко люблю бога,
а брата своего ненавидит, ложь есть.
Соборное послание Иоанна. Глава 4, с. 20

І смеркає, і світає,
День божий минає,
І знову люд потомлений
І все спочиває.
Тільки я, мов окаянный,
І день і ніч плачу
На розпуттях велелюдних,
І ніхто не бачить,
І не бачить, і не знає —
Оглухли, не чують;
Кайданами міняються,
Правдою торгують.
І гóспода зневажають, —
Людей запрягають
В тяжкі ярма. Орють лихо,
Лихом засівають,
А що вродить? Побачите,
Які будуть жніва!
Схаменіться, недолюди,
Діти юродиві!
Подивіться на рай тихий,
На свою країну,
Полюбіте щирим серцем
Велику руїну,
Розкуйтеся, братайтеся!
У чужому краю
Не шукайте, не питайте
Того, що немає
І на небі, а не тільки
На чужому полі.
В своїй хаті своя й правда,
І сила, і воля.

მკვლარ, ცოცხალ და
ჯერარშობილ
თანამემამულეებს ჩემსას
უკრაინასა და უკრაინის მიღმა
ჩემი მეგობრული უსტარი

უკეთუ ვინმე ჰსთქვას, ვითარმედ მიუყარს ღმერთი
და ძმაი თვისი ჰსძულდეს, მტყუან არს...

პირველი კათოლიკე ეპისტოლე
იოანე მოციქულისა. თავი 4. მუხლი 20

ბნელს ნათელი ენაცვლება,
ნათელს სჯაბნის თალხი,
კვლავ ისვენებს ცისქვეშეთში
დაქანცული ხალხი.
მე კი, შეჩვენებულვით,
დღე და ღამე ვტირი
თემშარაზე... ვერვინ ნახა
ჩემი გასაჭირი,
ვერვინ ნახა, ვერ გაიგო —
ყველა ყრუა აღბათ.
ერთმანეთში ცვლიან ხუნდებს
და ვაჭრობენ ხარბად
თვით სიმართლით. გმობენ უფალს,
ხალხს ადგამენ ქედზე
მძიმე უღელს. ხნავენ ვარამს,
შიგ ვაებას თესენ.
რა იხარებს? ვნახოთ ერთი,
ალო საოცნებო!
გონს მოეგეთ, არაკაცნო,
შვილნო — სალოსებო!
ნახეთ მყუდრო საბაღნარო —
მიწა სანუკველი.
შეიყვარეთ წრფელი გულით
ნანგრევები ვრცელი,
ბედს ეწიეთ, ეძმეთ ერთურთს!
ზღვებსგადაღმა მხარეს
ნუ დაეძებთ, ნუ კითხულობთ
მას, რაც არსად არის,
მას, რაც ზეცად, არ თუ სხვისას,
აღარ იპოვება.
შენს ქოხს სულ სხვა სიმართლე აქვს,
სხვა ძალა და შვება.

Нема на світі України,
Немає другого Дніпра,
А ви претеся на чужину
Шукати доброго добра,
Добра святого. Волі! волі!
Братерства братнього! Найшли,
Несли, несли з чужого поля
І в Україну принесли
Великих слов велику силу,
Та й більш нічого. Кричите,
Що бог створив вас не на те,
Щоб ви неправді поклонились!..
І хилитесь, як і хилились!
І знову шкуру дерете
З братів незрящих, гречкосіїв,
І сонця-правди дозрівать
В німецькі землі, не чужії,
Претеся знову!.. Якби взяли
І всю мізерію з собою,
Дідами крадене добро,
Тойді оставсь би сиротою
З святими горами Дніпро!

Ох, якби те сталось, щоб ви не вертались,
Щоб там і здихали, де ви поросли!
Не плакали б діти, мати б не ридала,
Не чули б у бога вашої хули.
І сонце не гріло б смердячого гною
На чистій, широкій, на вольній землі.
І люди б не знали, що ви за орли,
І не покивали б на вас головою.

Схаменіться! будьте люди,
Бо лихо вам буде.
Розкуються незабаром
Заковані люде,
Настане суд, заговорять
І Дніпро, і гори!
І потече сторіками
Кров у синє море
Дітей ваших... і не буде
Кому помагати.

არ არის ქვეყნად სხვა უკრაინა,
სხვა დნიპროც ქვეყნად აღარსად არი,
თქვენ კი უცხოეთს მიელტვით მაინც,
ჰპოვოთ სიკეთე ზღაპრის სადარი,
სიკეთე წმინდა! შვება და შვება!
ძმობა ძმურადი! იპოვეთ კიდევ,
ზიდეთ, ატარეთ უცხო ველიდან
და უკრაინის აწიეთ კიდევ
დიად სიტყვათა დიადი ძალა,
სხვა არაფერი. გაჭყვირით ერთხმად:
განა იმიტომ დაგვბადა ღმერთმა,
რომ სიცრუისთვის გვებადა ღალა!..
და კვლავ ღალატზე ამატებთ ღალატს
და ძველებურად ატყავებთ თანაც
ძმას უსინათლოს, მარჩენალს ოდით,
და რომ იხილოთ სიმართლის შუქი,
გარბიხართ ისევ, როგორაც რბოდით,
გერმანელებთან!.. შესძელით თუკი
თან წაიმძღვანოთ ზღვა განძეული,
ნაქურდალი და ნაყაჩაღარი,
შეგვრჩება ოდენ დნიპრო ეული,
მოსილი წმინდა მათა ჭაღარით.

ნეტამც სურდეს ბუნებას თქვენი არდაბრუნება,
ნეტამც იქვე ჩაძაღლდეთ, სადაც აღმოცენდით.
დედას არ ექნებოდა მოშხამული გუნება,
ველარ გაიგონებდა თქვენს ძაგებას ღმერთი.
ამ უბიწო მიწაზე მზე, სხივების მფრქვევი,
ნებვს არ ააყროლებდა, ასჯერაც რომ ენახა.
ხალხი ვერ გაიგებდა, რა ორბებიც თქვენა ხართ,
აღარც რამეს იტყოდა თქვენზე თავის ქნევით.

გონს მოეგეთ! ახლოვდება
შურისგების ჭანდი.
ჭაჭვს აიწყვეტს სადაცაა
შებორკილი ხალხი,
დრო მოვა და დაიქუხებს
დნიპროც, მთაც და ველიც!
ლურჯი ზღვისკენ წავა სისხლის
ნიაღვრები ცხელი
შვილთა თქვენთა... განკითხვის და
გლოვის უამი დგება.

Одцурається брат брата
І дитини мати.
І дим хмарою заступить
Сонце перед вами,
І навіки прокленетесь
Своїми синами!
Умийтесь! образ божий
Багном не скверніте.
Не дуріте дітей ваших,
Що вони на світі
На те тільки, щоб панувать...
Бо невчене око
Загляне їм в саму душу
Глибоко! глибоко!
Дознаються небожата,
Чия на вас шкура,
Та й засудять, і премудрих
Немудрі одурять!

Якби ви вчилися так, як треба,
То й мудрость би була своя.
А то залізете на небо:
«І ми не ми, і я не я,
І все те бачив, і все знаю,
Нема ні пекла, ані раю,
Немає й бога, тільки я!
Та куций німець узловатий,
А більш нікого!..» — «Добре, брате,
Що ж ти таке?»

«Нехай скаже
Німець. Ми не знаєм».
Отак-то ви навчаєтесь
У чужому краю!
Німець скаже: «Ви моголи».
«Моголи! моголи!»
Золотого Тамерлана
Онучата голі.
Німець скаже: «Ви слав'яне».
«Слав'яне! слав'яне!»
Славних прадідів великих
Правнуки погані!

ძმას ღვიძლი ძმა, შვილს მშობელი
დედა განუდგება.
მზეს მობურავს ღრუბელივით
კვამლი დაგრაგნილი.
შეგაჩვენებთ საუკუნოდ
საკუთარი შვილი.
განიბანეთ, უფლის ხატი
არ შებღალლოთ მეტად.
შვილს არ უთხრათ, რომ თითქოსდა
მართლა დაებედა
ქვეყნად სხვებზე ბატონობა...
უმეცარი მზერა
სულს ჩასწვდება და შეზარავს,
როგორც ბედისწერა!
მიგიხვდებათ ნაშიერი,
ვის ტყავშიაც ვლიდით.
გაგვიცხავენ ბრძენთა-ბრძენებს
ბრიყვნი კიდით კიდით!

თქვენ რომ გესწავლათ გულმოდგინებით,
არ გვექნებოდა სიბრძნეზე დავა.
ახლა კი ზეცას ეპოტინებით:
„ჩვენ სულ სხვანი ვართ, მეც თვითონ სხვა ვარ,
ვიცი, მწუხარე თუ ამო დღეა,
არც ჭოჯობეთი, არც სამოთხეა,
აღარც ღმერთია... არვის ვცნობილობ!
მე ვარ და ჭოჯო, ტლუ გერმანელი,
მეტი არავინ!..“ — „კარგი, ძმობილო,
ვინა ხარ თვითონ?“

„დაე, გვითხრას გერმანელმა
ვინ ვართ. ჩვენ არ ვიცი“.
ამნაირი მოგდით ცოდნა
ემაგ უცხო მიწით.
„მოგოლებო, მოგოლებო!“
გეტყვით გერმანელი.
თქვენ ხართ ოქროს ტამერლანის
ბადიშები ბნელი.
გეტყვით იგი: „სლავები ხართ!“
კვერს დაუკრავთ, ვართო.
სახელოვან დიდ პაპათა
მოდგმა უწაღმართო.

І Коллара читаєте
З усієї сили,
І Шафарика, і Ганка,
І в слав'янофіли
Так і претесь... І всі мови
Слав'янського люду —
Всі знаєте. А своєї
Дастьбі... Колись будем
І по-своєму глаголать,
Як німець покаже
Та до того й історію
Нашу нам розкаже, —
Отойді ми заходимось!..
Добре заходились
По німецькому показу
І заговорили
Так, що й німець не второпа,
Учитель великий,
А не те, щоб прості люде.
А гвалту! а крику!
«І гармонія, і сила,
Музика, та й годі.
А історія!.. поема
Вольного народа!
Що ті римляне убогі!
Чортзна-що — не Брути!
У нас Брути! і Коклеси!
Славні, незабуті!
У нас воля виростала,
Дніпром умивалась,
У голови гори слала,
Степом укривалась!»
Кров'ю вона умивалась,
А спала на купак,
На козацьких вольних трупах,
Окрадених трупах!
Подивіться лишень добре,
Прочитайте знову
Тую славу. Та читайте
Од слова до слова,
Не минайте ані титли,
Ніже тії коми,

თქვენ კოლარსაც ეტანებით...
კითხვით კმაყოფილებს
გინდათ განკაც, შაფარიკიც
და სლავიანოფილებს
ეტმასნებით... ყველა ენა
იცით სლავთა გვარის.
საკუთარსაც შევისწავლით,
თუკი ამდაგვარი
რჩევა მოგვცა გერმანელმა
და გვასწავლა თანაც
ჩვენი ქვეყნის ისტორია,
ჩვენი ანა-ბანა,
მაშინ ნახეთ, რასაც ვიზამთ,
აკი ყველამ ნახა,
რომ ვჭიკჭიკებთ, გერმანელმა
როგორც გვიკარნახა,
მაგრამ ჩვენი დიდ მოძღვარსაც
ალარ გაეგება.
ხალხს მით უფრო... ღრიანცელი
ცის კიდემდე სწვდება.
ირგვლივ სუფევს ჰარმონია,
სული ჩვენი მღერის!
ისტორია? — პოემაა
თავისუფალ ერის!
რის ბრუტუსი, რისი რომი,
არც ვახსენებთ უხამსთ.
ბრუტუსებიც, კოკლესებიც
ჩვენ გვყავს, ვინმეს თუ ჰყავს.
ჩვენთან შვება ფრთებს ისხამდა,
დნიპროს წყალში ნაბანს,
თავსასთუმლად ედო მთები,
სტეპი ცვლიდა საბანს.
შვება სისხლშიც განბანილა,
უთევია ღამე,
სად გაქურდულ კაზაკების
ალაგებდნენ გვამებს.
დააკვირდით დადინჯებით,
წაიკითხეთ ისევ
წიგნი ჩვენი დიდებისა,
სიტყვასიტყვით, ისე,
რომ ქარაგმაც არ გამოგრჩეთ,
მძიმე როა, მძიმეც,

Все розберіть... та й спитайте
Тойді себе: що ми?..
Чиї сини? яких батьків?
Ким? за що закуті?..
То й побачите, що ось що
Ваші славні Брути:
Раби, подножки, грязь Москви,
Варшавське сміття — ваші пани,
Ясновельможнії гетьмани.
Чого ж ви чванитесь, ви!
Сини сердешної України!
Що добре ходите в ярмі,
Ще лучче, як батьки ходили.
Не чваньтесь, з вас деруть ремінь,
А з їх, бувало, й лій топили.

Може, чванитесь, що братство
Віру заступило,
Що Синопом, Трапезондом
Галушки варило.
Правда!.. правда, наїдались.
А вам тепер вадить.
І на Січі мудрий німець
Картопельку садить,
А ви її купуєте,
Їсте на здоров'я
Та славите Запорожжя.
А чиєю кров'ю
Ота земля напоєна,
Що картопля родить, —
Вам байдуже. Аби добра
Була для горóду!
А чванитесь, що ми Польщу
Колись завалили!..
Правда ваша: Польща впала,
Та й вас роздавила!

Так от як кров свою лили
Батьки за Мóскву і Варшаву,
І вам, сиnam, передали
Свої кайдани, свою славу!

შეამოწმეთ, თან იკითხეთ:
ვინ გვიმაგრებს იმედს?
ვინ ვართ? ვისი გორისანი?
ვინ შეგვბორკა ასე?
იქ კი თქვენი ბრუტუსების
გამოჩნდება ფასი.

მონები, ყმები, მოსკოვის წვირე,
ვარშავის ნეხვი გექცათ პანებად,
ატამანებად და ჭეტმანებად.
ჭეი, თქვენ, რისთვის იბზუებთ ცხვირებს!
შვილნო ბედკრული უკრაინისა!
ნუთუ იმიტომ, მამათა მსგავსად,
და მეტიც, უკეთ ატარებთ უღელს.
იყუჩეთ! თქვენ დღეს აგაქნეს თასმა,
მათგან კი ქონი დაადნეს წუხელ.

თქვენ ყოყოჩობთ, რომ კაზაკნი
რწმენას ედგნენ მხარში,
რომ სინოპში, ტრაპიზონში
გალუშკები ხარშეთ.
ხარშეთ, ხარშეთ, მაგრამ კერძმა
ახლა მოგჭრათ კბილი.
ხოლო სიჩში ბრძენ გერმანელს
მოჭყავს კარტოფილი.
თქვენც ყიდულობთ, შეექცევით,
არც შეგაკრთობთ ზიზღი.
აქებთ ზაპოროჟიელებს,
მაგრამ ვისი სისხლი
რწყავდა მიწას, კარტოფილით
განთქმული რომ არი,
არ გადარდებთ. ოღონდ ბოსტანს
არ მოაკლდეს ცვარი.
მოგაქვთ თავი: პოლონეთთან
მოვიგეთო ბრძოლა.
კი, დაეცა პოლონეთი,
თქვენც ქვეშ მოგიყოლათ!

როცა მამები მკერდდამდაღველი
ბრძოლით იცავდნენ მოსკოვს, ვარშავას,
ძველი ხუნდები, ძველი სახელი
შვილებს მოგიძღვნათ, თქვენ მოგაშავათ!

Доборолась Україна
До самого краю.
Гірше ляха свої діти
Її розпинають.
Замість пива праведною
Кров із ребер точать.
Просвітити, кажуть, хочуть
Материні очі
Современними огнями,
Повести за віком,
За німцями, недоріку,
Сліпую каліку.
Добре, ведіть, показуйте.
Нехай стара мати
Навчається, як дітей тих
Нових доглядати.
Показуйте!.. за науку,
Не турбуйтеся, буде
Материна добра плата.
Розпадеться лúда
На очах ваших неситих,
Побачите славу,
Живу славу дідів своїх
І батьків лукавих.
Не дуріте самі себе,
Учітесь, читайте,
І чужому навчайтесь,
Й свого не цурайтесь,
Бо хто матір забуває,
Того бог карає,
Того діти цураються,
В хату не пускають.
Чужі люди проганяють,
І немає злому
На всій землі безконечній
Веселого дому.
Я ридаю, як згадаю
Діла незабуті
Дідів наших. Тяжкі діла!
Якби їх забути,
Я оддав би веселого
Віку половину.





აწ სადღაა უკრაინის
ძველი სიჩაუქე.
ლიახიც კი ვერ უზამდა,
რაც შვილებმა უქნეს.
ლუდის ნაცვლად ნეკნებიდან
სისხლს უბიწოს სვამენ,
აქაოდა, გვსურსო დედას
გავუნათოთ ღამე
შუქით თანამედროულით,
რომ ასწლელს მიჰყვეს,
კვალში მიჰყვეს გერმანელებს
უსინათლო ბრიყვი.
კარგი, იყოს ნება თქვენი,
დააკვირდით ცხოვლად,
შეისწავლოს, ახალ შვილებს
როგორ უნდა მოვლა.
დაანახვეთ!.. სწავლებისთვის,
ნუ გექნებათ დარდი,
დედა უხვად გადაგიხდით.
გაირღვევა ბანდი,
ხარბ თვალებზე ახვეული,
და დიდებას ნახავთ,
იმ დიდებას, მამა-პაპამ
თქვენ რომ შეგინახათ.
ნუ იბრიყვებთ თავს ერთბაშად,
გეპყრათ ცოდნის კვარი,
სხვის სიბრძნესაც დაეუფლეთ,
გწამდეთ საკუთარიც.
რადგან დედის დამვიწყებელს
ღმერთი დასჯის მწარედ.
შვილი კარებს მიუკეტავს,
აყურყუტებს გარეთ.
აღარც უცხო გაიკარებს
და, წანწალით დაღლილს,
არ ექნება ცისქვეშეთში
მხიარული სახლი.
ვტირი, როცა მახსენდება
ცუდნაქმნართა წყება
წინაპრების, რომ შემეძლოს
მათი დავიწყება,
მზად ვარ დავთმო მხიარული
წლების ნახევარი.

Отака-то наша слава,
Слава України.
Отак і ви прочитайте,
Щоб не сонним снились
Всі неправди, щоб розкрились
Високі могили
Перед вашими очима,
Щоб ви розпитали
Мучеників: кого, коли,
За що розпинали!
Обніміте ж, брати мої,
Найменшого брата, —
Нехай мати усміхнеться,
Заплакана мати.
Благословить дітей своїх
Твердими руками
І діточок поцілує
Вольними устами.
І забудеться срамотня
Давня година,
І оживе добра слава,
Слава України,
І світ ясний, невечерній
Тихо засіяє...
Обніміться ж, брати мої,
Молю вас, благаю!

14 декабра 1845
Вьюнища

უკრაინის დიდება ხომ
ამნაირი არი.
ამგვარადაც წაიკითხეთ,
რომ გესიზმროთ ცხადად
ყველა ჭორი, რომ თქვენს თვალწინ
აეხადოს ფარდა
ყორღანების საიდუმლოს,
რომ დაკითხოთ სრულად
წამებულნი: ჯვარზე როდის,
ვინ და რისთვის ცმულა.
ძმებო, გულში ჩაიკარით
უმრწემესი ძმაი, —
გაეღიმოს თვალცრემლიან
დედას ერთხელ მაინც.
შვილებს თვისას მტკიცე ხელით
გადასახოს ჯვარი,
დაამჩნიოს თავისუფალ
ბაგის ნაკოცნარი.
მაშინ წარსულს ჩაბარდება,
რაც გადაგვხდა წინათ.
ძველ დიდებას დაიბრუნებს
ჩვენი უკრაინა.
და სამყაროც სხივნათელი,
იკიაფებს წყნარად.
ძმებო, ერთურთს ჩაეკონეთ,
გვერდით აწ და მარად!

1845 წ. 14 დეკემბერი,
ვიუნიშჩა

* *
*

Минають дні, минають ночі,
Минає літо. Шелестить
Пожовкле листя, гаснуть очі,
Заснули думи, серце спить,
І все заснуло, і не знаю,
Чи я живу, чи доживаю,
Чи так по світу волочусь,
Бо вже не плачу й не сміюсь...

Доле, де ти! Доле, де ти?
Нема ніякої!

Коли доброї жаль, боже,
То дай злої! злої!

Не дай спати ходячому,
Серцем замирати

І гнилою колодою
По світу валятись.

А дай жити, серцем жити
І людей любити,

А коли ні... то проклинать
І світ запалити!

Страшно впасти у кайдани,
Умирать в неволі,

А ще гірше — спати, спати,
І спати на волі —

І заснути навік-віки,
І сліду не кинуть

Ніякого, однаково,
Чи жив, чи загинув!

Доле, де ти! Доле, де ти?
Нема ніякої!

Коли доброї жаль, боже,
То дай злої! злої!

*21 декабря 1845
Вьюница*





* *

*

დიან დღეები, დიან ღამენი,
მათთან ზაფხულიც იღევა. მკკნარი
შრიანებს ნეშო, ქრება თვალები,
ფიქრს სძინავს, გულიც მძინარე არი.
სძინავთ ყოველთა და ველარ ვხვდები,
ჯერ კიდევ ვცოცხლობ თუ უკვე ვკვდები
თუ უჩინარი მომდევს სისინით,
რადგან არც ვტირი, აღარც ვიცინი.

ბედო, სად ხარ, ბედო, სად ხარ?

მომანატრე თავი!

კარგ ბედს თუ არ მომცემ, ღმერთო,
მომეც ავი, ავი!

ძილს ნუ მომგვრი ზეზეურად,

ნუ მომნუსხავ შორით,

რომ არ ვეგდო ცისქვეშეთში,

ვით დამპალი მორი.

მომეც ნება, ყოფნის ნება,

ტრფობის ტვირთიც ვზიდო,

თუ არა და... წუნკალ სოფელს

ცეცხლი წავუკიდო!

მტრისას, ხუნდი თუ დაგადეს,

მოგკლეს ფერმიხდილი.

ასჯერ მტრისას — ძილი, ძილი,

სამშვიდობოს ძილი,

როცა გაქრობს უგზო-უკვლოდ

ქვეყნის რია-რია,

თითქოს არც კი გაჩენილხარ,

არც კი გიცხოვრია!

ბედო, სად ხარ, ბედო, სად ხარ?

მომანატრე თავი!

ღმერთო, კარგ ბედს თუ არ მომცემ,

მომეც ავი, ავი!

1845 წ. 21 დეკემბერი,
ვიუნიშჩა

ТРИ ЛІТА

І день не день, і йде не йде,
А літа стрілою
Пролітають, забирають
Все добре з собою.
Окрадають добрі думи,
О холодний камінь
Розбивають серце наше
І співають а́міль,
Аміль всьому веселому
Од нині до віка.
І кидають на розпутті
Сліпого каліку.
Невеликіі три літа
Марно пролетіли...
А багато в моїй хаті
Лиха наробили.
Опустошили убоге
Моє серце тихе,
Погасили усе добре,
Запалили лихо,
Висушили чадом, димом
Тії добрі сльози,
Що лилися з Катрусейо
В московській дорозі,
Що молились з козаками
В турецькій неволі,
І Оксану, мою зорю,
Мою добру долю,
Що день божий умивали...
Поки не підкралась
Злії літа; та все теє
Заразом украли.
Жаль і батька, жаль і матір,
І вірну дружину,
Молодую, веселую,
Класти в домовину,
Жаль великий, брати мої;
Тяжко годувати



ТРЫ ЛИТЯ.

И дѣнь не дѣнь, и ѿде аи ѿде,
А шота сѣрило
Бурматало тѣ, забурасотъ
Все добре въ собо.
Окрадаютъ добри думи
Одолдѣтъ камени
розбиваютъ сурце аиче
И опиваютъ аиче,
Аиче вѣину вѣолому
Отъ аичи добука
И кидаютъ на роопутѣти
Сипосо камуку.
Те вѣлики тѣрилитѣ
Мауро пропитѣи...
А бѣлатѣ во мо ии дѣти
Лѣда наробили..
Оуотомѣи убои
Моє сурце тѣе
Босетѣи усе добре
Запили ии ии,
Висуили чедоло дѣлони
Эми добре иѣзи

სამი წელი

დღე დღეს არა ჰგავს, დგას ერთ ალაგას,
წლები კი ისრად ჰქრიან.
თან მიაქვთ, რასაც ავლა-დიდება
და მონაგარი ჰქვია.
უღვთოდ ძარცვავენ კეთილ ჩანაფიქრს
თუ არ ისინი, სხვა ვინ?
გულს გვაგლეჯენ და კლდეს ალეწავენ
და იძახიან: „ამინ!“
ამინ ყველაფერს, რაც გვახალისებს,
უკუნისამდე, მარად.
და ბრმა ხეიბარს ტოვებენ გზაზე
ბედ-იღბლის ანაბარა.
ის სამი წელი წარილტვა უქმად,
დასანანია რაიც...
თუმცა ჩემს სახლში ბევრი სიხვე
დაატრიალა მაინც.
გამივერანა ისეც ტიალი
და უწყინარი გული,
ჩამიქრო ცეცხლი სათნოებისა,
კვლავ განმიახლა წყლული,
მოსპო, დააშრო კვამლით და მხუთრით,
არა, არ შეიწყნარა,
ცრემლი, რომელიც ჩემმა კატინამ
მოსკოვის გზებზე ღვარა,
ცრემლი, თურქეთში ტყვე კაზაკების
ლოცვად რომ ამოდინდა,
და ოქსანასაც, ჩემს ბედის ვარსკვლავს,
წყაროს წყალივით წმინდა
ნაკადულივით რომ დასდიოდა...
ავი, ბოროტი წლები
წამომეპარა მოულოდნელად
და ჩამიხერგა გზები.
გულსაკლავია, შენი დედა-მამა,
შენი ერთგული ცოლი,
ჯერაც უმაწვილი და მხიარული,
ნახო კუბოში მწოლი,
გულსაკლავია, მოძმენო ჩემნო,
როდესაც უნდა მარტო

Малих діток неумитих
В нетопленій хаті, —
Тяжке лихо, та не таке,
Як тому дурному,
Що полюбить, побереться,
А вона другому
За три шаги продається
Та з його й сміється.
От де лихо! от де серце
Разом розірветься!
Отаке-то злеє лихо
Й зо мною спіткалось:
Серце люди полюбило
І в людях кохалось,
І вони його вітали,
Гралися, хвалили...
А літа тихенько крались
І сльози сушили,
Сльози щирої любові;
І я прозрівати
Став потроху... Доглядаюсь, —
Бодай не казати.
Кругом мене, де не гляну,
Не люди, а змії...
І засохли мої сльози,
Сльози молодії.
І тепер я розбитеє
Серце ядом гою,
І не плачу, й не співаю,
А вию с о в о ю.
Отаке-то! Що хочете,
То те і робіте:
Чи голосно зневажайте,
Чи нишком хваліте
Мої думи, — однаково
Не вернуться знову
Літа мої молодії,
Веселеє слово
Не вернеться... І я серцем
До вас не вернуся.
І не знаю, де дінуся,
Де я пригорнуся,

დაუბანელი ტიტლიკანები
უცეცხლო ქოხში ზარდო,
გულსაკლავია, მაგრამ ნაკლებად,
ვიდრე იმ ბრიყვის ხვედრი,
ვინაც შეირთავს შარახვეტიას,
ის კი, უღირსი მდედრი,
დასცინის ბეჩავს და სამ შაურად
მავანთან სხეულს ჰყიდის.
მოდის და გული არ გაიხეთქო,
მოდის და დარჩი მშვიდი!
სწორედ ამგვარი უბედურება
თავზე დამატყდა თავად:
გულს შეუყვარდა ადამის ძენი,
ჰყვარობდა უკითხავად,
მასაც პატივით ესალმებოდნენ,
ქებას უძღვნიდნენ ხშირად...
წლები კი ჩუმად წამოეპარა
და ცრემლი გაუძვირა,
ცრემლი ალალი სიყვარულისა;
მეც ამეხილა თვალი
ნელა და... ირგვლივ რაც დავინახე,
ვაიმე, ჩვენი ბრალი!
ყველგან, სანამდეც მისწვდება მზერა,
კაცი შეცვლილა გველით...
და დაშრა კიდევ ჩემი ცრემლები,
ცრემლები უცოდველი.
და გულს გატეხილს და გაოხრებულს
შხამით ვუამებ ტკივილს.
ალარც ვტირივარ, ალარც ვმღერივარ,
ბუკიოტივით ვკივი.
მაშ, ამდაგვარად! ნება თქვენია,
აწი, ამ წამის აქეთ:
გინდათ, საჯაროდ აქციეთ ზურგი,
გინდათ, ფარულად აქეთ
ჩემი ფიქრები, — არ დაბრუნდება
ნაჩაუქარი წლები,
არც მხიარული ჩემი სიტყვები,
თუნდ გამოესხათ ფრთები,
არ დაბრუნდება... მეც ჩემი გულით
თქვენთან არ დავბრუნდები.
არ ვიცი კია, რა გზას ვადგები,
ვისი საჭირო ვხდები,

І з ким буду розмовляти,
Кого розважати,
І перед ким мої думи
Буду сповідати?
Думи мої! літа мої,
Тяжкії три літа.
До кого ви прихилитесь,
Мої злії діти?
Не хилітесь ні до кого,
Ляжте дома спати...
А я піду четвертий год
Новий зустрічати.
Добрідень же, новий годе,
В торішній свитині!
Що ти несеш в Україну
В латаній торбині?
«Благоденствіє, указом
Новеньким повите».
Іди ж здоров, та не забудь
Злидням поклонитись.

22 декабля 1845
Вьюнища

ვისთან მომიწევს გაბაასება,
ვისი გართობა მელის,
ვის გავუმხილო სააღსარებო
ფიქრები სანუკველი?
ო, ფიქრნო ჩემნო! ო, წელნო ჩემნო,
ო, სამო მძიმე წელო!
ჩემო ბოროტო, ავო შვილებო,
სადაა თქვენი ჰელო?
ნუ ივლით, ნურცვის მიეკედლებით,
შინ მიიქეცით ძილად...
მე კი მეოთხედ მსურს გავითენო,
ვნახო ახალწლის დილა.
სალამი შენდა, ახალო წელო!
თუმც ძველი გხურავს ქუდი.
ნეტავ, რა მიგაქვს უკრაინაში
მაგ დაბებკილი გუდით?
„კეთილდღეობა, ცინცხალ-ცინცხალი
კანონით გამომცხვარი“.
არ დაგავიწყდეს, ნახე ლატაკნი
და თავი დაუკარი.

1845 წ. 22 დეკემბერი,
ვიუნიშჩა

ЗАПОВІТ

Як умру, то поховайте
Мене на могилі,
Серед степу широкого,
На Вкраїні милій,
Щоб лани широкополі,
І Дніпро, і кручі
Було видно, було чути,
Як реве ревучий.
Як понесе з України
У синєє море
Кров ворожу... отойді я
І лани, і гори —
Все покину і полину
До самого бога
Молитися... а до того
Я не знаю бога.
Поховайте та вставайте,
Кайдани порвіте
І вражою злою кров'ю
Волю окропіте.
І мене в сем'ї великій,
В сем'ї вольній, новій,
Не забудьте пом'янути
Незлим тихим словом.

*25 декабля 1845
в Переяславі*

მოვკვდები და მიმიჩინეთ
მე ყორღანზე ბინა,
საყვარელი უკრაინის
ვრცელ ტრამალთა შინა.
რომ ველები უსამანო,
დნიპროც, კბოდეც სველი,
თვალწინ მედგას, ყურს ესმოდეს,
ვით ღრიალებს ხელი.
ვით ჩაღეკავს უკრაინით
ლაჟვარდოვან ზღვაში
სისხლს მტარვალთა... საოცნებო
მთებს და ველებს მაშინ
მივატოვებ, ავფრინდები
ზეციერთან ერთი,
სალოცავად... მანამდე კი
მე არ ვიცი ღმერთი.
დამმარხეთ და აღიმართეთ,
ლეწეთ ხუნდთა წყება,
მტრის ბოროტი სისხლის ნთხევით
დაიმკვიდრეთ შვება.
და როს ახალ, დიდ ოჯახის
სადიდებელს იტყვით,
არ გამოგრჩეთ, მომიგონეთ
თბილი, წყნარი სიტყვით.

1845 წ. 25 დეკემბერი,
პერეიასლავი

В КАЗЕМАТІ

*Моїм союзникам
посвящаю*


* *
*

Згадайте, братія моя...
Бодай те лихо не верталось,
Як ви гарнесенько і я
Із-за решотки визирали.
І, певне, думали: «Коли
На раду тиху, на розмову,
Коли ми зійдемося знову
На сій зубоженій землі?»
Ніколи, братія, ніколи
З Дніпра укупі не п'ємо!
Розійдемося, рознесемо
В степи, в ліси свою недолю.
Повіруєм ще трохи в волю,
А потім жити почнемо
Меж людьми, як люде.
А поки те буде,
Любітеся, брати мої,
Україну любіте
І за неї, безталанну,
Господа моліте.
І його забудьте, други,
І не проклиняйте.
І мене в неволі лютій
Інколи згадайте.

[1847, Орська кріпость]

І

Ой одна я, одна,
Як билиночка в полі,
Та не дав мені бог
Ані щастя, ні долі.





საკურობილუი

ჩემს მოკავშირეებს
ვუძღვნი

* *
*

გახსოვდეთ, ძმებო, სიმუხთლე წელთა...
ნუმც დაბრუნდება უამი წყეული,
როცა ვიყავი მეც თქვენთან ერთად
გისოსებს მიღმა გამომწყვდეული,
როცა ვფიქრობდით: „ჩამოჭკრავს, ნეტა,
ჩვენი ხელახლა შეყრის საათი,
და გვეღირსება კვლავ მასლაათი
ამ იავარქმნილ მიწასა ზედა?“
ვერ ვეღირსებით, მოძმენო, ვერა,
კვლავ შევსვათ დნიპროს კამკამა წყალი!
გაგვფანტავს ჩვენი ცოდვა და ბრალი,
ტრამალზე, ტყეში დაგვრჩება კვალი —
მწარე ყისმათი, ნუგეში, წერა.
ჯერ თითქოს შვება ნამდვილად გვჯერა,
მერე სხვა ყოფას დავადგათ თვალი,
ხალხში ვიცხოვროთ კაცურად,
და სანამ გაღმა გავცურავთ,
ძმანო, ჰყვარობდეთ ერთმანეთს,
ლალსა და თავისუფალს,
ბედკრული უკრაინისთვის
მუხლს მოუყრიდეთ უფალს.
დაივიწყებდეთ უფალსაც,
არ ახსენებდეთ ავად.
მე, ტყვექმნილს, მომიგონებდეთ,
როცა დრო-უამი გავა.

1847 წ. ორბკის ციხე-სიმაგრე

|

მარტოკა ვარ, მარტოკა,
როგორც ღერო ცალი,
არ მაღირსა უფალმა
ბეჩავს ბედ-იღბალი.

Тільки дав мені бог
Красу — карії очі,
Та й ті виплакала
В самотині дівочій.

Ані братика я,
Ні сестрички не знала,
Меж чужими зросла,
І зросла — не кохалась!

Де ж дружина моя,
Де ви, добрії люде?
Їх нема, я сама.
А дружини й не буде!

*[Між 17 квітня і 19 травня 1847
С.-Петербурґ]*

II

За байраком байрак,
А там степ та могила.
Із могили козак
Встає сивий, похилий.
Встає сам уночі,
Іде в степ, а йдучі
Співа, сумно співає:

«Наносили землі
Та й додому пішли,
І ніхто не згадає.
Нас тут триста, як скло,
Товариства лягло!
І земля не приймає.
Як запродав гетьман
У ярмо християн,
Нас послав поганяти.
По своїй по землі
Свою кров розлили
І зарізали брата.

ქვეყნად მისი სურვილით
თაფლისთვალა მოველ,
რათა გამომეტირა
ქალწულს სიმარტოვე.

მე არ გამომიცდია,
რაა და-ძმა ტრელი.
უცხო ხალხში ვიზარდე
ტრფობაგანუცდელი.

სად ხართ, ჩემო საბედოვ
ან კეთილო ხალხო?
არ ჩანს, არ ჩანს არავინ,
არც ერთია ახლოს!

1847 წ. 17 აპრილსა და
19 მაისს შორის, ს.-პეტერბურგი

II

ხრამის გადაღმა ხრამი
და ყორღანია ბარად.
ტოვებს სამარეს ღამით
კაზაკი თმაჭალარა.
ტოვებს მარტოკა, ნელა
და მიმავალი ველად,
მღერის, მწუხარედ მღერის:

„წამოგვაყარეს მიწა
და შინ გაიქცნენ იმწამს,
ვისლა ვჭირდებით მტვერი!
აქ სამას მოყმეს სძინავს,
დამსხვრეულს, როგორც მინას,
მიწაც გაგვიხდა მტერი.
როცა მოუნდა ჰეტმანს
ქრისტიანების ულეტა,
ჩვენ მოგვიშვირა ხელი.
ყველგან, შინა თუ გარეთ,
ჩვენივე სისხლი ვღვარეთ,
ძმას გამოვლადრეთ ყელი.

Крові брата впились
І отут полягли
У могилі заклятій».

Та й замовк, зажурився
І на спис похилився.
Став на самій могилі,
На Дніпро позирав,
Тяжко плакав, ридав,
Сині хвилі голосили.
З-за Дніпра із села
Руна гаєм гула,
Треті півні співали.
Провалився козак,
Стрепенувся байрак,
А могила застогнала.

[Між 17 квітня і 19 травня 1847
С.-Петербург]

III

Мені однаково, чи буду
Я жить в Україні, чи ні.
Чи хто згадає, чи забуде
Мене в снігу на чужині —
Однаковісінько мені.
В неволі виріс меж чужими,
І, не оплаканий своїми,
В неволі плачучи, умру,
І все з собою заберу,
Малого сліду не покину
На нашій славній Україні,
На нашій — не своїй землі.
І не пом'яне батько з сином,
Не скаже синові: «Молись,
Молися, сину: за Вкраїну
Його замучили колись».
Мені однаково, чи буде
Той син молитися, чи ні...
Та не однаково мені,

ძმის სისხლით გამომთვრალებს
ცოდვამ გვიწია მალე
და ჰა, სამარე ბნელი!“

დადუმდა, მოიქუფრა,
შუბს დაებჯინა უბრად.
ყორღანზე გადმომდგარი,
გასცქერის დნიპროს მხარეს,
მტირალი, მგლოვიარე,
რეკავს ტალღათა ზარი.
დნიპროს გადაღმა ბექობს
მამლის ყივილის ექო
უკვე მესამედ ესმა.
კაზაკი დანთქა მიწამ,
ხრამი შეტოკდა იმწამს
და ყორღანს დასცდა კვნესა.

1847 წ. 17 აპრილსა და
19 მაისს შორის, ს.-პეტერბურგი

III

ჩემთვის ერთია, გავლევ ცხოვრებას
უკრაინაში თუ სხვაგან სადმე.
დაივიწყებს თუ ემახსოვრება
მავანს, ქარბუქი მმარხავდა სად მე —
ერთია ჩემთვის, ფიქრები დავთმე.
ყმად გავიზარდე უცხოთა შორის,
დაუტირები ტოლის და სწორის,
მოვკვდები... მომსპობს ცრემლი, მონება,
საფლავს ჩამყვება მთელი ქონება.
არ დააჩნდება კვალი ნათელი,
თუმც ჩვენი, მაგრამ მტრების ნათელი,
სახელოვანი მამულის მიწას.
არ ეტყვის მამა შვილს შეგონებას,
როგორც გვკარნახობს წესი და რიგი:
„ღმერთს სთხოვე, შვილო, მისი ცხოვნება,
უკრაინისთვის ეწამა იგი!“
ჩემთვის ერთია, შესთხოვს თუ არა
ან რას მიუგებს თხოვნაზე ღმერთი,
მაგრამ სულ ერთი როდია ჩემთვის,

Як Україну злії люде
Присплять, лукаві, і в огні
Її, окраденую, збудять...
Ох, не однаково мені.

[Між 17 квітня і 19 травня 1847
С.-Петербург]

IV

«Не кидай матері!» — казали,
А ти покинула, втекла.
Шукала мати — не найшла,
Та вже й шукати перестала,
Умерла плачучи. Давно
Не чуть нікого, де ти гралась,
Собака десь помандрувала,
І в хаті вибито вікно.
В садочку темному ягнята
Удень пасуться. А вночі
Віщують сови та сичі
І не дають сусідам спати.
І твій барвіночок хрещатий
Заріс богилою, ждучи
Тебе неквітчану: І в гаї
Ставочок чистий висихає,
Де ти купалася колись.
І гай сумує, похиливсь.
У гаї пташка не співає —
Й її з собою занесла.
В яру криниця завалилась,
Верба усохла, похилилась,
І стежечка, де ти ходила,
Колючим терном поросла.
Куди полинула, де ділась?
До кого ти перелетіла?
В чужій землі, в чужій сем'ї
Кого ти радуєш? до кого,
До кого руки приросли?

რომ ხალხი გულღრძო და მატყუარა
ჩემს უკრაინას, სათნოს და კეთილს,
გაძარცვავს, დღეებს აწვნიებს უარესს,
ო, ეს სულ ერთი როდია ჩემთვის!

1847 წ. 17 აპრილსა და
19 მაისს შორის, ს.-პეტერბურგი

IV

ნუ მიატოვებ დედასო, გითხრეს,
შენ მიატოვე, მაინც წახველი.
გეძება დედამ, შენი მნახველი
ვერავინ ჰპოვა. გეძება დიდხანს
და ცრემლს გადაჰყვა. იქ, სადაც წინათ
გითამაშია, კაცი არა ჩანს.
ძალიც გაიქცა, არ იღარაჯა,
ქოხის სარკმელში ჩაიმსხვრა მინა.
ბაღშიგან დღისით ძოვენ კრავები,
ბუკიოტები კივიან ღამით.
მეზობლებს შვება არა აქვთ წამით,
ვერ იძინებენ საცოდავები.
და გველის სუროც ველურ მკლავებით
მოაშთო გლერტამ. არ დადგა უამი,
რომ ჩამობრუნდე ყვავილთა სწორი,
ჭალაში შრება კამკამა ტბორი,
სად ბანაობდი მკვირცხლი და მარდი,
ჭალასაც ნელა ერევა დარდი.
არც სირთა სტვენა მოისმის შორით,
ისინიც აღბათ შენთან არიან.
ხევში რაკრაკით არ მოჩქეფს წყარო.
გადაფერდილა, გამხმარა სარო.
ბილიკზე, სადაც ოდესღაც რბოდი,
მხოლოდ ჯაგნარი და შამბნარია.
სად ხარ, სად გაქრი, ნიავის დარო?
გადახვეწილი გიხილონ როდის?
უცხო მიწის და ოჯახის მშვენი,
ვის ახარებ და რა გიხარია?
ვის ჩააბარე იღბალი შენი?

Віщує серце, що в палатах
Ти розкошуєш, і не жаль
Тобі покинутої хати...

Благаю бога, щоб печаль
Тебе довіку не збудила,
Щоб у палатах не найшла...
Щоб бога ти не осудила
І матері не прокляла.

[Між 17 квітня і 19 травня 1847
С.-Петербург]

V

«Чого ти ходиш на могилу? —
Насилу мати говорила. —
Чого ти плачеш ідучи,
Чому не спиш ти уночі,
Моя голубко сизокрила?»
«Так, мамо, так». І знов ходила,
А мати плакала ждучи.

Не сон-трава на могилі
Вночі процвітає,
То дівчина заручена
Калину саджає,
І сльозами поливає,
І господу просить,
Щоб послав він дощі вночі
І дрібнії рóси.
Щоб калина прийнялася,
Розпустила віти.
«Може, пташкою прилине
Милий з того світа.
Зов'ю йому кубелечко
І сама прилину,
І будемо щебетати
З милим на калині.

მიგრძნობს ეს გული, რომ ქარვასლათა
დალხინებული ხარ ბინადარი.
არც გახსოვს ქოხი, შენ რომ გაგზარდა...

ღმერთს ვევედრები, სევდის ღაღარი
არ გაგიღვივოს ცეცხლის ენებად,
საქმე არ გიქნას დასაგმობელი,
არ სცადო უფლის განაწყენება
და არ დასწყევლო დედა მშობელი.

1847 წ. ს.-პეტერბურგი

V

„რად დადიხარ საფლავზედა? —
ეკითხება ასულს დედა. —
რად სტირიხარ მიმავალი,
მიგელულა ღამით თვალი,
რუხფრთიანო ჩემო მტრედო!“
შვილი სიტყვას უგდებს ბანზე,
დედაც ტირის დარდით სავსე.

სამარეზე მაძინია
თვალებს კი არ ახელს,
ღამით გოგო დანიშნული
რგავს აღისფერ ძახველს,
რგავს და ცრემლი დასდის ღვარად,
უფალს შესთხოვს მწირი,
მოუვლინოს ღამით წვიმა
ან ცვარ-ნამი ხშირი,
რომ ძახველმა ილორძინოს,
მოიღეროს ყელი.
„იქნებ ჩიტად მომიფრინდეს
ჩემი საყვარელი.
ავიშენებ ღამაზე ბუდეს,
შიგ ჩავსხდებით ორი
და ძახველზე ვისაუბრებთ
მე და გულისსწორი.

Будем плакати, щебетати,
Тихо розмовляти,
Будем вкупочці уранці
На той світ літати».

І калина прийнялася,
Віти розпустила.
І три літа на могилу
Дівчина ходила.
На четверте...
Не сон-трава
Вночі процвітає,
То дівчина з калиною
Плаче, розмовляє:
«Широкая, високая
Калино моя,
Не водою до схід сонця
Поливана.
Широкії ріки-сльози
Тебе полили,
Їх славою лукавою
Люде понесли.
Зневажають подруженьки
Подругу свою,
Зневажають червону
Калину мою.
Повий мою головоньку,
Росою умий
І вітами широкими
Од сонця закрий.
Вранці найдуть мене люде,
Мене осміють.
Широкії твої віти
Діти обірвуть».

Вранці-рано на калині
Пташка щебетала;
Під калиною дівчина
Спала, не вставала:
Утомилось молодеє,
Навіки спочило...

ვივაგლახებთ, ვიჟღურტულებთ,
ყურს დაგვიგდებს სიო,
აღიონზე გვიმასპინძლებს
ისევ საიქიო“.

და ძახველმაც გაიხარა,
აიყარა ტანი,
საფლავს სამ წელს აკითხავდა
გოგო სევდიანი.
მეოთხე წელს... მაძინია
თვალებს კი არ ახელს,
ლამით გოგო მოტირალი
ეუბნება ძახველს:

„მხარგაშლილო, აშოლტილო,
ჩემო ძახველო,
რიჟრაჟამდე წყლის კი არა,
ცრემლის მნახველო.
შენ ნიადაგ გბანდა ცრემლის
ვრცელი მდინარე.
მას მავანთა გულგრილობა
აუჩინარებს.
დაქალებშიც გამომიჩნდა
უკვე მძრახველი.
დასაცინად გაუხდიათ
ჩემი ძახველი.
თან დამქროლე, თან მასხურე
დილის ნამიცა,
თან შრიალა შენი შტოთი
მზისგან დამიცავ!
მე მავანთა ქილიკობით
დავიდალები,
შენ კი ტოტებს დაგამტვრევენ
ცელქი ბაღლები“.

ჰა, ძახველზე უთენია
აჟღურტულდა ჩიტი.
ბუჩქის ძირას გოგოს სძინავს,
წევს და არსად მიდის:
გზადაქანცულს უპოვია
საყუდარი მშვიდი...

Вставало сонце з-за могили,
Раділи люде встаючи.
А мати й спати не лягала,
Дочку вечерять дожидала
І тяжко плакала ждучи.

[Між 17 квітня і 19 травня 1847
С.-Петербург]

VI

Ой три шляхи широкії
Докупи зійшлися.
На чужину з України
Брати розійшлися.
Покинули стару матір.
Той жінку покинув,
А той сестру. А найменший —
Молоду дівчину.
Посадила стара мати
Три ясени в полі.
А невістка посадила
Високу тополю.
Три явори посадила
Сестра при долині...
А дівчина заручена —
Червону калину.
Не прийнялись три ясени,
Тополя всихала,
Повсихали три явори,
Калина зов'яла.
Не вертаються три брати.
Плаче стара мати,
Плаче жінка з діточками
В нетопленій хаті,
Сестра плаче, йде шукати
Братів на чужину...
А дівчину заручену
Кладуть в домовину.

მზე ყორღანს მიღმა ამოდოდა
და ხელს ჰკიდებდა საქმეს სოფელი,
დედას კი შვილის ბედი სტკიოდა,
დასაძინებლად არ მიდიოდა
თვალეზზე ცრემლებზეუშრობელი.

1847 წ. 17 აპრილსა და
19 მაისს შორის, ს.-პეტერბურგი

VI

ჰოი, სამი ფართო შარა
ერთად შეიყარა.
მივლენ ძმები უკრაინით
უცხო მთად და ბარად.
შინ მოხუცი დარჩათ დედა.
ერთსაც დარჩა ცოლი.
დარჩათ დაი. სულ უმრწემესს
დარჩა ტურფა ტოლი.
დარგო დედამ სამი ძირი
იფნის ნერგი ველად.
დანიშნულმა დარგო აღვა,
გახმებო ძნელად.
ტრიალ მინდვრად დარგო დამა
სამი ნეკერჩხალი.
დანიშნულის ძახველს თითქოს
ედებოდა ალი.
გახმა სამი იფნის ნერგი,
არ იხარა აღვამ,
მოკვდა სამი ნეკერჩხალი,
ძახველს აჰკნობს გვალვა.
არ მოდიან სამნი ძმანი,
მათზე ტირის დედა.
ტირის ცოლი და ბავშვები
ცივ ხატებში სხედან.
ტირის დაი, ძმების კვალზე
მიდის უცხო მხარეს...
ხოლო გოგო დანიშნული
მიწას მიაბარეს.

Не вертаються три брати,
По світу блукають,
А три шляхи широкії
Терном заростають.

[Між 17 квітня і 19 травня 1847
С.-Петербург]

VII

Н. КОСТОМАРОВУ

Веселе сонечко ховалось
В веселих хмарах весняних.
Гостей закованих своїх
Сердешним чаєм напували
І часових переменяли,
Синємундирих часових.
І до дверей, на ключ замкнутих,
І до решотки на вікні
Привик я трохи, і мені
Не жаль було давно одбутих,
Давно похованих, забутих,
Моїх кровавих тяжких сльоз.
А їх чимало розлилось
На марне поле. Хоч би рута,
А то нічого не зійшло!
І я згадав своє село.

Кого я там коли покинув?
І батько й мати в домовині...
І жалем серце запеклось,
Що нікому мене згадати!
Дивлюсь: твоя, мій брате, мати
Чорніше чорної землі
Іде, з хреста неначе знята...
Молюся! господи, молюсь!

აღარ ჩანან სამნი ძმანი,
გაქრნენ მთად თუ ბარად,
მათი სამი ფართო შარა
ძეძვით დაიფარა.

1847 წ. 17 აპრილსა და
19 მაისს შორის, ს.-პეტერბურგი

VII

ნ. კოსტომაროვს

იმალეობდა ღრუბლებში მნათი,
პირმოცინარი, ართუ ლმობილი,
ხოლო სტუმრები, აწ შეპყრობილი,
შეექცეოდნენ წყალწყალა სადილს
და იცვლებოდნენ მცველები მათი,
ლურჯ მუნდირებში გამოწყობილი.
მე, მიჩვეული ჩარაზულ კარებს,
სარკმლის ჩარჩოში ჩაჭედილ ცხაურს,
ყურს არ ვუგდებდი გუშაგთა ხმაურს
და სისხლნარევი ცრემლების ღვარი
რომ გავაყოლე გარდასულ ქარებს,
არ მაღარდებდა მაშინ სრულებით.
ველს ნაცრემლარი აჩნდა წყლულები,
სადაც არათუ ბალახი მწარე,
ძეძვიც არ ხარობს დასაჭკნობელი,
და გამახსენდა ჩემი სოფელი.

მე იქ ოდესღაც მიმღერეს ნანა.
ახლა დედ-მამა კუბოში წვანან
და მთუთქავს დარდი გულგამყოფელი,
რომ ჭირისუფალს ვერავის ვხედავ!
და... მოდის შენი ტანჯული დედა,
მიწაზე შავი დედა მშობელი
და მოჭგავს ჯვრიდან ჩამოხსნილ ცხედარს.
უფალო, სანამ ძალა მეყოფა,

Хвалить тебе не перестану!
Що я ні з ким не поділю
Мою тюрму, мої кайдани!

1847, мая 19
[С.-Петербург]

VIII

Садок вишневий коло хати,
Хрущі над вишнями гудуть,
Плугатарі з плугами йдуть,
Співають ідучи дівчата,
А матері вечерять ждуть.

Сем'я вечеря коло хати,
Вечірня зіронька встає.
Дочка вечерять подає,
А мати хоче научати,
Так соловейко не дає.


Поклала мати коло хати
Маленьких діточок своїх;
Сама заснула коло їх.
Затихло все, тільки дівчата
Та соловейко не затих.

[Між 19 і 30 травня 1847
С.-Петербург]

IX

Рано-вранці новобранці
Виходили за село,
А за ними, молодими,
І дівча одно пішло.
Подибала стара мати
Доню в полі доганяти...
І догнала, привела;





ვლოცულობ, შენზე ლოცვას ვუნდები,
რომ არავისთან არ გამეყოფა
ჩემი დილეგი, ჩემი ხუნდები.

1847 წ. 19 მაისი,
ს.-პეტერბურგი

VIII

აღუბლის ბაღი ჰყვავის ხატასთან,
მწერი ზუზუნით ეხვევა ხეხილს,
გუთანს მოჰყვება მაშვრალი გლეხი,
ქალიშვილები მღერენ გზადაგზა,
თითქოს ეზოში შემოდგეს ფეხი.

ოჯახი ვახშმად ჯდება ხატასთან,
მწუხრის ვარსკვლავი ჩასცქერით სულში,
გოგონა ოჯახს მაგიდას უშლის,
დედა მისცემდა რჩევას ათასს და
ვერ აძლევს, რადგან ბუღბუღი უშლის.

დაუგო დედამ შვილებს ხატასთან,
ჭრელი სიზმრები გექცეთ იადო,
თვითონაც იქვე თავი მიადო,
თუმც შუალამეს უკვე გადასცდა,
ღვიძავთ გოგონებს, ღვიძავს იადონს.

1847 წ. 19 და 30 მაისს შორის,
ს.-პეტერბურგი

IX

სისხამ დილით გასცდნენ სოფელს
ახალწვეულები.

უწვერულებს ერთი გოგო
მიჰყვა ჩვეულებრივ.

გოგოს დედა გაეკიდა,
მობრუნდესო იქნებ გზიდან...

დაეწია, დააბრუნა,

Нарікала, говорила,
Поки в землю положила,
А сама в старці пішла.

Минули літа, а село
Не перемінилось.
Тільки пустка на край села
Набік похилилась.
Коло пустки на милиці
Москаль шкандибає.
На садочок позирає,
В пустку заглядає.
Марне, брате, не вигляне
Чорнобрива з хати.
Не покличе стара мати
Вечеряти в хату.
А колись... Давно колись-то!
Рушники вже ткались,
І хустина мережалась,
Шовком вишивалась.
Думав жити, любитися
Та бога хвалити!
А довелось... ні до кого
В світі прихилитись.
Сидить собі коло пустки,
Надворі смеркає,
А в вікно, неначе баба,
Сова виглядає.

*[Між 19 і 30 травня 1847
С.-Петербург]*

Х

В неволі тяжко, хоча й волі,
Сказати по правді, не було.
Та все-таки якимось жилось.
Хоть на чужому, та на полі...
Тепер же злої тії долі,
Як бога, ждати довелось.

არ მოეშვა მანამ მუნათს,
სანამ ბნელს არ მიაბარა,
თვითონ დაძრწის კარი-კარა.

დრო გამოხდა, მაგრამ სოფელს
არც რა მოემატა.
მხოლოდ სოფლის განაპირას
დაიფერდა ხატა.
შორიანლო ყავარჯნებით
ჯარისკაცი დადის.
ბაღს გასცქერის წარამარა,
ქოხში შესვლა სწადის.
არა, ძმაო, შავწარბება
აღარ გამოგხედავს,
არ მოგიხმობს ქოხში ვახშმად
თმაჭალარა დედა.
ხოლო როსმე... როსმე, ძველად
ხელსაქმობდნენ აქა,
ვერ მოსწყვეტდი თვალს თავსაფარს,
აბრეშუმით ნაქარგს.
მოსკალს სურდა ჰყვარებოდა,
ეთქვა უფლის ქება!
ერგო კია უშვილძიროდ
ქვეყნით გადაგება.
ზის უკაცურ ქოხის კართან,
შელამება მოდის,
სარკმლით, როგორც დედაბერი,
იმზირება ჭოტი.

1847 წ. 19 და 30 მაისს შორის,
ს.-პეტერბურგი

X

მიმძიმს ტყვეობა, თუმცაღა შვება,
სიმართლე რომ ვთქვა, ადრეც არ მქონდა.
მაინც რაღაცით თავი გამქონდა,
ხიზანს სიცოცხლის გამაჩნდა ნება...
ახლა იმედი თანდათან დნება
და ავი ბედი კვლავ მომაგონდა.

І жду її, і виглядаю,
Дурний свій розум проклинаю,
Що дався дурням одурить,
В калюжі волю утопить.
Холоне серце, як згадаю,
Що не в Україні поховають,
Що не в Україні буду жить,
Людей і господа любить.

[Між 19 і 30 травня 1847
С.-Петербурґ]

XI

КОСАР

Понад полем іде,
Не покоси кладе,
Не покоси кладе — гори.
Стогне земля, стогне море,
Стогне та гуде!

Косаря уночі
Зустрічають сичі.
Тне косар, не спочиває
Й ні на кого не вважає,
Хоч і не проси.

Не благай, не проси,
Не клепає коси,
Чи то пригород, чи город,
Мов бритвою, старий голить
Усе, що даси.

Мужика, й шинкаря,
Й сироту-кобзаря.
Приспівує старий, косить,
Кладе горами покоси,
Не мина й царя.

მას, როგორც უფალს, ვუცდი და ველი,
ვიწყევლი ჭკუას, ბრიყვი და ბნელი,
ბრმად რომ ავყევი, მივეც უფლება,
ლაფში ჩაეხრჩო თავისუფლება.
მწარე ფიქრები გულს მიდაღვენ,
რომ ჩემს მხარეში არ დამმარხვენ,
რომ იქ ცხოვრება დასრულდა ჩემთვის
და შემძულდება კაცი და ღმერთი.

1847 წ. 19 და 30 მაისს შორის,
ს.-პეტერბურგი

XI

მ თ ი ბ ა ვ ი

მოვლო მინდორ-ველი,
კი არ გააქვს სვრელი,
კი არ გააქვს სვრელი — ზვინავს.
ზღვა და მიწა ხვნეშის, გრგვინავს,
ხვნეშის ღამე-ბნელი!

მთიბავს ღამით ხვდება
მიკიოტთა წყება.
მთიბავი კი თიბვით მიდის,
არ აწუხებს ვინმეს რიდი,
არც ცელს ღესავს, არა.

არ მოჭყვება, არა,
ღესვას წარამარა.
გარეუბანს, გინა ქალაქს,
გადაპარსავს თავის ქალას,
სამართებლის დარად.

გღებს თუ ხარკის მკრეფელს,
კობზარს — ლექსთა მყეფელს,
თიბავს, მიდის, მილიღინებს,
ის ბებერი ზვინავს ზვინებს,
შიგ მოაქცევს მეფეს.

І мене не мине,
На чужині зотне,
За решоткою задавить.
Хреста ніхто не поставить
І не пом'яне.

[30 травня 1847
С.-Петербург]

XII

Чи ми ще зійдемося знову?
Чи вже навіки розійшлись?
І слово правди і любові
В степи і дебрі рознесли!
Нехай і так. Не наша мати,
А довелося поважати.
То воля гóспода. Годіть!
Смирітєся, молітєсь богу
І згадуйте один другого.
Свою Україну любіть,
Любіть її... Во время люте,
В остатню тяжкую минуту
За неї гóспода моліть.

[Між 19 і 30 травня 1847
С.-Петербург]

არ დამინდობს მეცა,
უცხო მხარეს მეცა,
ცხაურს მიღმა მნახეთ მკვდარი.
არ მექნება თავით ჭვარი,
არ მიგლოვებს მე ცა.

1847 წ. 30 მაისი,
ს.-პეტერბურგი

XII

შეგვყრის კი ისევ სოფლის ტრიალი?
თუ საუკუნოდ დავშორდით ყველა?
სიტყვა სიმართლის, სიტყვა ტრფიალის,
ხომ არ გავფანტეთ ტყესა და ველად!
იყოს ასედაც. ვართ მადლობელი
თუ ჩვენი არა, სხვისი მშობელის.
ეგ ღვთის ნებაა. უფლება სრული!
დასცხრით, შენდობა სთხოვეთ ზეციერს
და ერთმანეთის კვალი ეძიეთ.
უკრაინისთვის გიცემდეთ გული,
გიყვარდეთ იგი... მარად და მარად,
ჟამს აღსასრულის, სამარის კარად
უფალს ავედრეთ მამული კრული.

1847 წ. 19 და 30 მაისს შორის,
ს.-პეტერბურგი

Сонце заходить, гори чорніють,
Пташечка тихне, поле німіє,
Радіють люде, що одпочинуть,
А я дивлюся... серцем лину
В темний садочок на Україну.
Лину я, лину, думу гадаю,
І ніби серце одпочиває.
Чорніє поле, і гай, і гори,
На синє небо виходить зоря.
Ой зоре! зоре! — і сльози кануть.
Чи ти зійшла вже і на Україні?
Чи очі карі тебе шукають
На небі синім? Чи забувають?
Коли забули, бодай заснули,
Про мою доленьку щоб і не чули.

[Друга половина 1847
Орська кріпость]

მნათი იწურება, ქედები მუქდება,
ჩიტუნა ყუჩდება, მინდორი მუნჯდება,
მაშვრალს უხარია უამი დავანების,
მე მივქრი... ყველაფერს თავი დავანებე,
რომ კვლავ უკრაინის ვნახო სამანები.
მე მივქრი, მე მივქრი ფიქრებში გართული
და გული ისვენებს, ცად გადამართული.
მინდორ-ველს, მთა-გორებს სიშავე ედება
და ლურჯ ცისკიდურზე ვარსკვლავი ენთება.
ვარსკვლავო! ვარსკვლავო! — ტირილში დრო მიდის.
უკრაინაშიაც თუ ამოცთომილდი?
თაფლისფერთვალება თუ გეძებს ისევე
კამკამა ზეცაში? თუ აღარც გიხსენებს?
ძილსაც წაუღია თუ უაუგია,
ჩემი უბედობა ნულარც გაუგია.

1847 წ. მეორე ნახევარი
ორსკის ციხესიმაგრე

Мені тринадцятий минало.
Я пас ягнята за селом.
Чи то так сонечко сіяло,
Чи так мені чого було?
Мені так любо, любо стало,
Неначе в бога
Уже прокликали до паю,
А я собі у бур'яні
Молюся богу... І не знаю,
Чого маленькому мені
Тойді так приязно молилось,
Чого так весело було?
Господнє небо, і село,
Ягня, здається, веселилось!
І сонце гріло, не пекло!
Та недовго сонце гріло,
Недовго молилось...
Запекло, почервоніло
І рай запалило.
Мов прокинувся, дивлюся:
Село почорніло,
Боже небо голубеє
І те помарніло.
Поглянув я на ягнята —
Не мої ягнята!
Обернувся я на хати —
Нема в мене хати!
Не дав мені бог нічого!..
І хлинули сльози,
Тяжкі сльози!.. А дівчина
При самій дорозі
Недалеко коло мене
Плоскінь вибирала,
Та й почула, що я плачу.
Прийшла, привітала,
Утирала мої сльози
І поцілувала

მისრულდებოდა ცამეტი წელი,
 მე სოფლის პირას ვმწყემსავდი კრავებს.
 მზე მართლა იყო ისეთი მწველი

თუ მოგონება უფროა მწვავე?
 თითქოს უფალმა დამადო ხელი
 და სამოთხეში ვიგრძენი თავი...
 სამხრად გვედახდნენ კარგა ხანია,
 მე კი ბარდებში ხელაპყრობილი
 ღმერთს ვადიდებდი... ეს ლიტანია,
 ნეტავ, რად იყო დამათრობელი,
 რას ზეიმობდა ბიჭუნას გონი,
 რა ჰქონდა ვისი სამადლობელი?
 ღვთის სამყოფელი, ჩვენი სოფელი
 და თვით კრავებიც ხარობდნენ, მგონი!
 მზე დამხაროდა ცხოველყოფელი.

დიდხანს როდი გაახარა
 ნორჩი მწყემსის გული...
 ედემს ცეცხლად წაეკიდა
 მზეი მეწამული.

თითქოს ახლა გამელვიძა:
 არე ნახშირს ჰგავდა,
 ცა რომ ცაა მტრედისფერი,
 ისიც გადაშავდა.

მიმოვავლე თვალი კრავებს!
 სხვა პატრონობს კრავებს!
 მიმოვავლე თვალი ხატას,
 აღარა მაქვს ხატა!

ღმერთმა დამსვა ცარიელზე!..
 წამსკდა ცრემლის ღვარი,
 მწარე ცრემლის!.. ხოლო გოგო,
 გზის გადაღმა მდგარი,
 შორიახლო, იქვე თითქმის,
 აგროვებდა კანაფს,
 რა ტირილი ესმა ჩემი,
 განა დაახანა,
 თვალზე ცრემლი შემიმშრადა,
 გადამკოცნა თანაც...

Неначе сонце засіяло,
Неначе все на світі стало
Моє... лани, гаї, сади!..
І ми, жартуючи, погнали
Чужі ягнята до води.

Бридня!.. а й досі, як згадаю,
То серце плаче та болить,
Чому господь не дав дожить
Малого віку у тім раю.
Умер би, орючи на ниві,
Нічого б на світі не знав.
Не був би в світі юродивим,
Людей і бога не прокляв!

[Друга половина 1847
Орська кріпость]

მზე კვლავ გაბრწყინდა, სხივთა მთოველი,
და ჩემი გახდა ქვეყნად ყოველი —
ჭალა-ბაღები და ნახნავეები
და მდინარისკენ ასკინკილათი
წინ გავირეკეთ სხვისი კრავები.

ხომ ბოდვა არი!.. და მაინც დღემდე
გულს სერავს, დაღავს ეს გახსენება,
ნეტარძი, უფალს რად არ ენება,
მეც შევრჩენოდი მცირე ხნით ედემს.
არც რა მომკლავდა, გარდა ალოსი,
მეყოლებოდა ჩემი ყევარი,
არ ვიქნებოდი ქვეყნად სალოსი,
კაცის და ღმერთის დამაწყევარი.

1847 წ. მეორე ნახევარი,
ორსკის ციხესიმაგრე

* *
*

Не гріє сонце на чужині,
А дома надто вже пекло.
Мені невесело було
Й на нашій славній Україні.
Ніхто любив мене, вітав,
І я хилився ні до кого,
Блукав собі, молився богу
Та люте панство проклинав.
І згадував літа лихії,
Погані, давнії літа,
Тойді повісили Христа,
Й тепер не втік би син Марії!
Нігде не весело мені,
Та, мабуть, весело й не буде
І на Украйні, добрі люде;
Отже, таки й на чужині.
Хотілося б... та й то для того,
Щоб не робили москалі
Труни із дерева чужого,
Або хоч крихотку землі
Із-за Дніпра мого святого
Святії вітри принесли,
Та й більш нічого. Так-то, люде,
Хотілося б... Та що й гадать...
Нащо вже й бога турбовать,
Коли по-нашому не буде.

[Друга половина 1847
Орська кріпость]

* *

*

უცხოობაში მზეა მირაჟი,
შინ კი მშანთავდა შეუბრალებლად.
არ მღირსებია მე გახარება
ჩვენს სახელოვან უკრაინაშიც.
მტერ-მოყვრისაგან ზურგშექცეული,
ვცდილობდი გულში ჩამეკლა წყენა.
ვამბობდი ასე: იკურთხოს ზენა,
ხოლო პანები იყოს წყეული.
წლებს ვიხსენებდი შავს და სამიწეს,
წლები ერთმანეთს გულგრილად მისდევს.
მაშინ ჯვარს აცვეს იესო ქრისტე,
ახლაც დასჯიდნენ მარიამის ძეს.
არ მეკარება არსად სიამე,
ასე იქნება, მკარნახობს აღლო,
უკრაინაშიც, კეთილო ხალხო,
და უფრო მეტად უცხო ყიამეთს.
მინდოდა... სევდის ძირიც ის არი,
რომ ჩემთვის მოსკალს არ გაეთალა
უცხო ხისაგან შვიდი ფიცარი
და მუჭი მიწა ჩამოეტანა
კუბოს კარამდე დასაფიცარი
დნიპროსპირეთის ქარებს ჩემთანა,
სხვა არაფერი. სულს მოერია
ძველი სურვილი — ოცნების შუქი...
რად შევაწუხო უფალი, თუკი
ნატვრას ახდენა არ უწერია.

1847 წ. მეორე ნახევარი,
ორსკის ციხესიმაგრე

О думи мої! о славо злая!
За тебе марно я в чужому краю
Караюсь, мучуся... але не каюсь!..
Люблю, як щиру, вірну дружину,
Як безталанну свою Вкраїну!
Роби що хочеш з темним зо мною,
Тільки не кидай, в пекло з тобою
Пошкандибаю
.

Ти привітала
Нерона лютого, Сарданапала,
Ірода, Каїна, Христа, Сократа,
О непотребная! Кесаря-ката
І грека доброго ти полюбила
Однаковісінько!.. бо заплатили.
.А я, убогий, що принесу я?
За що сіро́му ти поцілуєш?
За пісню-думу?.. Ой гаю, гаю,
Й не такі, як я, дармо співають.
І чудно, й нудно, як поміркую,
Що часто ко́тяться голови буї
За теє диво! мов пси, гризуться
Брати з братами й не схаменуться.
А теє диво, всіми кохане, —
У шинку покритка, а люде п'яні!

[Друга половина 1847
Орська кріпость]

ო, ჩემო ფიქრებო! ბოროტო დიდებავ!
 შენს გამო შორეთში ცეცხლი მეკიდება.
 ვისჯები, ვიტანჯვი... არ ვნანობ კიდევაც!
 მიყვარხარ ერთგულ და წრფელ მეუღლესავით,
 როგორც უკრაინა, მერმისზე მესავი!
 ბნელსა და უმეცარს მიყავ, რაც გენებოს,
 ოღონდ ნუ დამტოვებ და სვენებ-სვენებით
 ქვესკნელშიც ჩაგყვები.....

.....

შენ საღმთო მდაბალით

მიიღე ნერონი და სარდანაპალი,
 იროდი, კაენი, ქრისტე და სოკრატე,
 მკვლელი კეისარი, სისხლს რომ გამოგადენს
 და ბრძენი ბერძენიც... შენ ყველა მათგანი
 შეიტკბე თანაბრად... გიყიდეს რადგანაც.
 მე რით მოგეახლო, მე, არასმქონები?
 მწირს და მიუსაფარს რად მეამბოროები?
 მარტო ჰანგებისთვის?.. ჰერიო, ჰერიო,
 თვით ჩემი მჯობნებიც სულ მუქთად მღერიან.
 როცა დავფიქრდები, გული მიღონდება,
 რომ ხშირად თავები მიწაზე გორდება
 მაგ სასწაულისთვის! თითქოს ლეკვებია
 ძმები და ღრინავენ, გონს არ ეგებიან.
 ის სასწაული კი ჩვენ გვიყვარს ძალიან:
 დუქანში სიძვაა, ხალხი კი მთვრალია!

1847 წ. მეორე ნახევარი,
 ორსკის ციხესიმაგრე

* *
*
*

Один у дрúгого питаєм:
Нащо нас мати привела?
Чи для добра? чи то для зла?
Нащо живем? Чого бажаєм?
І, не дознавшись, умираєм,
А покидаємо діла...

Які ж мене, мій боже милий,
Діла осудять на землі?
Коли б ті діти не росли,
Тебе, святого, не гнівили,
Що у неволі народились
І стид на тебе понесли.

[Друга половина 1847
Орська кріпость]

* *

*

ვკითხავთ ერთმანეთს მომსვლელ-წამსვლელი:
ნეტავი, დედამ რად გაგვაჩინა?
კეთილის, ავის გამოსაჩენად?
რისთვის ვსულდგმულობთ? რა გვსურს, რას ველით?
და უპასუხოდ მივართ თვალსველი,
ტოვებს საქმეებს ჩვენი მარჯვენა...

ვიცოდე მაინც, ღმერთო მაღალო,
ქვეყნად განკითხვა რისთვის მომელის?
ნუმც გაიზრდება ბავშვი, რომელიც
მონობის ტვირთით უნდა დაღალო,
რომ ცუდი სიტყვა არ მოგახალოს,
არ გახდეს შენი ლანძღვის მდომელი.

1847 წ. მეორე ნახევარი,
ორსკის ციხესიმაგრე

* *
*

Привикне, кажуть, собака за возом
бігти, то біжить і за саньми.

То так і я тепер пишу:
Папір тільки, чорнило трачу...
А перш! Єй-богу, не брешу!
Згадаю що чи що набачу,
То так утну, що аж заплачу.
І ніби сам перелечу
Хоч на годину на Вкраїну,
На неї гляну, подивлюсь,
І, мов добро кому зроблю,
Так любо серце одпочине.
Якби сказать, що не люблю,
Що я Украйну забуваю
Або лукавих проклинаю
За те, що я тепер терплю, —
Єй-богу, братія, прощаю
І милосердому молюсь,
Щоб ви лихим чим не згадали;
Хоч я вам кривди не робив,
Та все-таки меж вами жив,
То, може, дещо і осталось.

[Кінець 1847
Орська кріпость]

* *

*

ამბობენ, ძალღი ურმის გამოკიდებას
თუ მიეჩვია, მარხილსაც გამოეკიდებაო.

ახლა მეცა ვწერ მავანთა დარად:
ამაოდ ვხარჯავ ქალაღდს და მეღანს...
მაგრამ, ღმერთმანი! არ ვტყუი, არა!
მყოფადი არ ჩანს, წარსულში ბნელა,
უკვე არ ძალუღს ტირიღსაც შვეღა.
მე ოცნებაში მეზრღება ფრთები
და უკრაინის სტუმარი ვხღები,
საათით მაინც შევავღო მზერა
და ვიგრღნო გუღის საამო ძგერა,
თითქოს ვიღაცის მოვისხი მაღღი.
მე მომწვღენია ჭორები მათი,
ვინც უკრაინის სიღულვიღს მწამებს,
თითქოს ვწყევღიღე იმ ცბიერ გვამებს,
რომ დამიბნელეს ერთბაშად მნათი.
ღმერთმანი, ძმებო, არ ვკიცხავ არვის
და ვევეღრები მოწყალე მფარვეღს,
არ გათქმევიღნოთ ჩემზე აუღი,
თუმც არ ვყოფიღვარ მე გუღბოროტი,
მაგრამ თქვენს შორის დიღხანს ვცხოვრობღდი
და იქნებ ცოღვიღს ვეღარ გაუღეთ.

1847 წ. მიწურული,
ორსკის ციხესიმაგრე

* *
*

Анумо, знову віршувать.
Звичайне, нишком. Нумо знову,
Поки новинка на основі,
Старинку божу лицювать.
А сиріч... як би вам сказать,
Щоб не збрехавши... Нумо знову
Людей і долю проклинать.

Людей за те, щоб нас знали
Та нас шанували.
Долю за те, щоб не спала
Та нас доглядала.
А то бач, що наробила:
Кинула малого
На розпутті, та й байдуже,
А воно, убоге,
Молодее, сивоусе, —
Звичайне, дитина, —
І подибало тихенько
Попід чужим тинном
Аж за Урал. Опинилосьь
В пустині, в неволі...
Як же тебе не проклинать,
Лукавая доле?
Не проклену ж тебе, доле,
А буду ховатись
За валами. Та нищечком
Буду віршувати,
Нудить світом, сподіватись
У гості в неволю
Із-за Дніпра широкого
Тебе, моя доле!

[Перша половина 1848
Орська кріпость]



Я не издыхаю ахвоу,
А цоц такес ~~цод~~ боути ох,
И цуце аде роуц. Боути,
Боути и плае и кестити
моу кероо ваиа дитици.
Ахвоу тхонком водити
Мабути ти ведоу? Добра неодо,
Неодо вода вамао вола
Рока гуауа: Цауэ тхолоа
иу приуае, а цоце гбудиути
Курену боао, Трета мугоуе
Тромалоу обухе етальти,
Ма добра вероутиути сахуру
Ма и заводиуе воу дудиути.
Ато приутиути соу неодо,
До цуу боуро етрауауоу.
А маутиа дуде коуауоути,
Крими нулиути мугоуаути
Абутиути Цауэ соо нлиауоу
Ма Кузантиутиауоу проуеуауоути,
Ма и думе дачуеуе туроу.

1853.
22. Nov. 1853

* *

*

ჭაიდა, კვლავაც ვეწიოთ მიზანს.
ვლექსოთ ფარულად. ჭაიდა, კვლავაც.
სანამდე ნართის დრო-ჟამი გავა,
გადავაბრუნოთ ძველმანი ღვთისა.
ან უფრო სწორად რომ გითხრათ... ისა...
რომ არ ვიცრუო... ჭაიდა, კვლავაც
წყევლა ვთქვათ ბედის, ადამის ძისა.

ადამის ძისა, რათა გვიცნობდეს
და მოგვაგებდეს პატივს.
ბედისა, რათა არ თვლემდეს მიწყივ,
იუოს სიკეთის მწადი.
თორემ ხომ ხედავთ, რაც ჩაიღინა,
რა ჭირიც მომისართა.
გზაგასაყარზე დამტოვა მარტო,
მიმცა საწეწად ქართა,
თუმც თმაჭალარა, მაგრამ ჭაბუკი,
პატარა ბიჭი ჭერაც,
და მე თანდათან გადავიხვეწე,
ისე, რომ არც კი მჭერა,
ურალს გადაღმა. ვარ უდაბნოში,
ტყვექმნილი, უიმედო...
როგორ არ უნდა გწყევლიდე, აბა,
ჩემო მაცდურო ბედო?
არა, საწყევლად არ გაგიმეტებ,
დავიმალეები სადმე
მიწაყრილს მიღმა. და კვლავ ფარულად
ლექსებს გავანდობ სათქმელს,
კვლავ ვიოცნებებ, ვინძლო პატიმარს
სხივი მომაპყროს მზემო.
დაგელოდები დნიპროსპირეთით,
შენ, ბედ-იღბალო ჩემო!

1848 წ. პირველი ნახევარი,
ორსკის ციხესიმაგრე


* *
*

Ну що б, здавалося, слова...
Слова та голос — більш нічого.
А серце б'ється-ожива,
Як їх почує!.. Знать, од бога
І голос той, і ті слова
Ідуть меж люди!

Похилившись,
Не те щоб дуже зажурившись,
А так на палубі стояв
І сторч на море поглядав,
Мов на Іуду... Із туману,
Як кажуть, стала виглядять
Червонолиця Діана...
А я вже думав спать лягати —
Та й став, щоб трохи подивиться
На круглолицю молодицю,
Чи теє... дівчину!.. Матрос,
Таки земляк наш з Островної,
На вахті стоя,
Журився сам собі чогось,
Та й заспівав, — звичайне, тихо,
Щоб капітан не чув, бо з лиха
Якийсь лихий, хоч і земляк.
Співа матрос, як той козак,
Що в наймах виріс сиротою,
Іде служити в москалі!..

Давно, давно колись
Я чув, як, стоя під вербою,
Тихенько дівчина співала,
І жаль мені, малому, стало
Того сірому-сироту,
Що він утомився,
На тин похилився,
Люде кажуть і говорять:
«Мабуть, він упився».
І я заплакав, — жаль малому
Було сіроми-сироти.

.





* *
*

თითქოს სიტყვები რა ბედენაა...
ხმა და სიტყვები — სხვა არაფერი.
გული კი ფეთქავს — მისთვის ლხენაა
მათი მოსმენა. ნარჩევ-ნაფერი
ხმაც და სიტყვებიც უნდა ზენაარს
კაცთათვის მხოლოდ!.....

მარტოეული

არცთუ ზედმეტად დარდმორეული,
მე უსაქმურად გემბანზე ვიდექ,
ზღვის შორეული, მაცდური კიდე
ჭგავდა იუდას... ამ დროს ნისლიდან,
როგორც იტყვიან, ამოციმციმდა
სახელაუღაუა ტურფა დიანა...
მან დაძინება დამიგვიანა
და აჩრდილივით კვალდაკვალ მდია,
მეც გავიფიქრე, შევხედავ დიაცს,
არა, ქალიშვილს!.. ამ დროს მატროსი,
კი, ჩვენებური, ოსტროვნის მხარის,

ვახტაზე მდგარი,

ფიქრობდა ფიქრებს უყისმათოსი,
თან წამოიწყო სიმღერა წყნარი,
რომ არ მოედო კაპიტანს შარი,
თვისტომსაც სჯიდა ის ავაზაკი.
მღერდა მატროსი, როგორც კაზაკი,
ობლად გაზრდილი ბატონის კარზე,
გამოსკალება რომ ელის ხვალ-ზეგ...

ასე მღეროდა წლებით მობოლილ
ჩემს ბავშვობაში შეყვარებული
გოგონა, ძეწნას შეფარებული
და შემეცოდა იგი ობოლი,
დაღლილ-დაქანცული,
სახელანძული,
მავანმა თქვა, მთვრალიაო,
წაიწყმიდა სული.
და მე ავტირდი, — დღე ჩამაუამა
მიუსაფარი ობლის ვაებამ.

.....

Чого ж тепер заплакав ти?
Чого тепер тобі, старому,
У цій неволі стало жаль —
Що світ зав'язаний, закритий!
Що сам єси тепер москаль,
Що серце порване, побите,
І що хороше-дороге
Було в йому, то розлилося,
Що ось як жити довелося, —
Чи так, лебедику?! «Еге...»

[Друга половина 1848^с
Косарал]

ტირილი ტირილს რად გადაება?
რად გენანება ბებერს ამჟამად,
როცა ტყვე ხარ და ტუსალი ნაღდი,
რომ დახშულია წუთისოფელი,
რომ შენ თვითონაც მოსკალი გახდი
და გულს გისეტყვავს დრო უღმობელი,
რომ გული შენი, სიკეთით სავსე,
აწ გადაიქცა ფერფლად და დოფად
და მოგიწია ამგვარმა ყოფამ, —
ასეა, ჩემო? „ასეა, ასე!..“

1848 წ. მეორე ნახევარი,
კოს-არალი

П. С.

Не жаль на злого, коло його
І слава сторожем стоїть.
А жаль на доброго такого,
Що й славу вміє одурить.

І досі нудно, як згадаю
Готичеський з часами дом;
Село обідране кругом;
І шапочку мужик знімає,
Як флаг побачить. Значить, пан
У себе з причетом гуляють.
Оцей годований кабан!
Оце ледащо. Щирий пан,
Потомок гетьмана дурного
І презавзятий патріот;
Та й християнин ще до того.
У Київ їздить всякий год,
У світі ходить меж панами,
І п'є горілку з мужиками,
І вольнодумствує в шинку.
Отут він ввесь, хоч надрукуй.
Та ще в селі своїм дівчаток
Перебирає. Та спроста
Таки своїх байстрят з десяток
У год подержить до хреста.
Та й тільки ж то. Кругом паскуда!
Чому ж його не так зовуть?
Чому на його не плюють?
Чому не топчуть! Люде, люде!
За шмат гнилої ковбаси
У вас хоч матір попроси,
То оддасте. Не жаль на його,
На п'яного Петра кривого,
А жаль великий на людей,
На тих юродивих дітей!

*[Друга половина 1848
Косарал]*

ნუ შეიცოდებ ბოროტს, იცოდე,
მას ისეც უღვას მცველად დიდება.
შენ იმ კეთილის ცოდვით იწვოდე,
რომ სურს დიდების გაბედითება.

მაჟრჟოლებს, როცა გამახსენდება:
საათიანი გოთური სახლი
გაძარცულ სოფელს დაჭყურებს მალლით;
და ქუდმოხდილი გლეხი ჩერდება,
დროშას რომ ნახავს. ბატონი ლალი,
ჩანს, ისევ სმაში გამოშტერდება.
ეს საშობაოდ ნახუქი ტახი.
ეს უსაქმური. ბრიყვი და წმახი
ჭეტმანთა გვარის შთამომავალი,
პატრიოტობის ზედმეტად მწადი,
თან ქრისტიანი ზრუნვამრავალი.
ყოველ წელიწადს კიევში ჩადის,
მთელი ამალით ბატონებს სტუმრობს,
გლეხებთან სვამს და გლეხებთან ხუმრობს,
მან გვირგვინოსნის კარის გინება
სამიკიტნოში ბევრჯერ ინება.
ის, როგორც ძველი ადათის მცველი,
სამრუშოდ ირჩევს გოგოს საჩინოს.
ისე არ გავა სოფელში წელი,
ათამდე ბუში არ გააჩინოს.
ნაძირალაა, რაც უნდა ფერო!
რატომ ასედაც არ ეძახიან?
ფურთხი, თავსლაფი ვისთვის ახია,
რად არ გათელეს, ერო და ბერო!
აყროლებული ძეხვის ნაჭერი
თქვენ გყოფნით, რათა გახდეთ დამჯერი
და დათმობთ დედაც. მხურვალედ გვედრებთ,
ნუ გეცოდებათ უგვანი პეტრე.
გეცოდებოდეთ მეტადრე სხვები —
ეს უპატრონო, სალოსი ყრმები.

1848 წ. მეორე ნახევარი,
კოს-არალი

* *
*

Якби зустрілися ми знову,
Чи ти злякалася б, чи ні?
Якеє тихее ти слово
Тойді б промовила мені?
Ніякого. І не пізнала б.
А може б, потім нагадала,
Сказавши: «Снилося дурній».
А я зрадів би, моє диво!
Моя ти доле чорнобрива!
Якби побачив, нагадав
Веселеє та молодеє
Колишне лишенько лихее.
Я зарідав би, зарідав!
І помоливсь, що не правдивим,
А сном лукавим розійшлось,
Слізьми-водою розлилось
Колишнеє святеє диво!

[Друга половина 1848
Косарал]

* *
*

რომ შეგეფეთო ხელახლა გზაში
თუ შეშინდები, მართლა, ნეტავი?
ან რას მომიგებ, რას მეტყვი მაშინ,
მიბნედილი და გაუბედავი?
არც რას. თითქოსდა უცნობი ვიყო.
ან იქნებ მითხრა: „გესიზმრა, ბრიყვო“,
და გამეცალო წინგამხედავი.
მე კი გულს ცეცხლი მომემატება,
ჩემო შავწარბა, ჩემო ხატება!
რომ დაგინახო, იხუვლებს გარეთ
მხიარულება ბინდმოგარსული,
ის სიყმაწვილე, მწარე წარსული.
ვითრებ მწარედ, ვითრებ მწარედ.
ვილოცებ, რადგან ცხადად კი არა,
ეს სასწაული ვნახე მძინარემ
და წმინდა ხილვა ცრემლის მძინარემ
თან ჩაიხვია და... ჩაიარა!

1848 წ. მეორე ნახევარი,
კოს-არალი

* *
*

І небо невмите, і заспані хвилі;
І понад берегом геть-геть
Неначе п'яний очерет
Без вітру гнеться. Боже милий!
Чи довго буде ще мені
В оцій незамкнутій тюрмі,
Понад оцим нікчемним морем
Нудити світом? Не говорить,
Мовчить і гнеться, мов жива,
В степу пожовклая трава;
Не хоче правдоньки сказати,
А більше ні в кого спитати.

[Друга половина 1848
Косарал]

* *

*

ცა ჭუჭყიანი, თვლემენ ზვირთები;
სად ნაპირია და ფართო ველი,
მთვრალი კაცივით ქანაობს ლელი
უქაროდ. ღმერთო, რას დამპირდები?
სანამდე ვარ და სანამდე ვგმინავ
ამ დაუკეტავ ციხესა შინა,
სანამდე ათრობს ამ უჟმურ ზღვასა
ჩემი წამება? არ იღებს ხმასაც,
დუმს და ირხევა, ვით სულიერი,
სტეპის ბალახი საღმომობიერი.
ჩემთვის სიმართლის გამხელა არ სურს,
სხვა კი ვერავინ მომიგებს პასუხს.

1848 წ. მეორე ნახევარი,
კოს-არალი

* *
*

Не для людей, тієї слави,
Мережані та кучеряві
Оці вірші віршую я.
Для себе, братія моя!

Мені легшає в неволі,
Як я їх складаю.
З-за Дніпра мов далекого
Слова прилітають
І стеляться на папері,
Плачучи, сміючись,
Мов ті діти. І радують
Одинокую душу,
Убогую. Любо мені.
Любо мені з ними,
Мов батькові багатому
З дітками малими.
І радий я, і веселий,
І бога благаю,
Щоб не приспав моїх діток
В далекому краю.
Нехай летять додомоньку
Легенькі діти.
Та розкажуть, як то тяжко
Було їм на світі.
І в сім'ї веселій тихо
Дітей привітають,
І сивою головою
Батько покиває.
Мати скаже: «Бодай тії
Діти не родились».
А дівчина подумає:
«Я їх полюбила».

[Друга половина 1848
Косарал]

* *

*

მე არც მავანთა დატკობას ვლამობ,
აღარც გუნდრუკი მჭირდება ამო.
ემაგ ლექსებში თუ რამ კარგია,
ძმებო, საჩემოდ დამიქარგია.

მე ერთი-ორად ტყვეობა
მიმსუბუქდება თხზვაში,
თითქოსდა დნიპროსპირეთით
მეწვევა სიტყვა მაშინ
და ქალაქს დაეფინება
მოტირალ-მოცინარი,
პატარასავით. ობოლი
სულის იღება კარი
და სიხარულით ვივსები,
ვზეიმობ წამის-წამად,
როგორც შვილების შემყურე
ლალი, მდიდარი მამა.
მე სიხარულით ვივსები
და ვევედრები ზენას,
რომ ჩემს პატარებს შორეთში
არ აგრძნობინოს წყენა.
ნეტამცა სახლში გაფრინდნენ
შვილები ტანმსუბუქი,
მოჭყვნენ თუ როგორ უჭირდათ,
თვალთ უქრებოდათ შუქი.
მათ დახვდებიან გულლიად,
დაუყვავებენ წყნარად
და თავს გააქნევს აღერსით
მშობელი თმაჭაღარა.
დედას დასცდება: „შვილები
არ გამჩენოდა ბარემ“.
გოგო იფიქრებს: „ისინი
მე გულით შევიყვარე“.

1848 წ. მეორე ნახევარი,
კოს-არალი

* *
*
*

Не так тії вороги,
Як добрії люди —
І окрадуть жалкуючи,
Плачучи осудять,
І попросять тебе в хату.
І будуть вітати,
І питать тебе про тебе,
Щоб потім сміятись,
Щоб з тебе сміятись,
Щоб тебе добити...
Без ворогів можна в світі
Як-небудь прожити.

А ці добрі люде
Найдуть тебе всюди,
І на тім світі, добряги,
Тебе не забудуть.

[Друга половина 1848
Косарал]





(Lama Ubrauky)
Тоукарениу спиноу морица.

* *

*

არა იმდენად მტერი,
უფრო კეთილი ხალხი —
გაგქურდავს სინანულით,
დაგგმობს მოტირალ სახით.
შეგიპატიუებს ქოხში,
მოგიფონ-მოგიფერებს.
გკითხავს, რა გიჭირს, ბეჩა?
რათა იცინოს მერე.
რათა აგიგდოს მასხრად,
ბოლო მოგიღოს მალე.
ამ წუთისოფელს კაცი
უმტროდ როგორმე გალევ.
მაგრამ კეთილი ხალხი,
შენივე ლანდის მსგავსად,
ქვესკნელშიც ჩამოგყვება,
არ დაგაყენებს არსად.

1848 წ. მეორე ნახევარი,
კოს-არალი

І знов мені не привезла
Нічого пошта з України...
За грішнії, мабуть, діла
Караюсь я в оцій пустині
Сердитим богом. Не мені
Про теє знать, за що караюсь,
Та й знать не хочеться мені.
А серце плаче, як згадаю
Хоч невеселії случаї
У невеселії ті дні,
Що пронеслися надо мною
В моїй Україні колись...
Колись божились та клялись,
Братались, сестрились зо мною,
Поки, мов хмара, розійшлись
Без сльоз, роси тії святої.
І довелося знов мені
Людей на старості... Ні, ні,
Вони з холери повмирили;
А то б хоч клаптик переслали
Того паперу

.
Ой із журби та із жалю,
Щоб не бачить, як читають
Листи тії, погуляю,
Погуляю понад морем
Та розважу своє горе.
Та Україну згадаю,
Та пісеньку заспіваю.
Люде скажуть, люде зрадять,
А вона мене порадить,
І порадить, і розважить,
І правдоньку мені скаже.

[Друга половина 1848
Косарал]

* *
*

კვლავ არაფერი ჩამომიტანა
ფოსტამ მშობლიურ უკრაინიდან...
აღბათ გამწყრალი ღმერთი ციდანა
მსჯის ცოდვებისთვის ჩვეულ უნით და
ვარ უდაბნოში. მაგრამ იმ ცოდვებს,
რისთვისაც მსჯიან, მეტყვის არავინ,
და, კაცმა რომ თქვას, არც მსურს ვიცოდე.
გულს კი ცრემლი სდის დაუფარავი,
როცა იხსენებს უსიხარულო
და უღიმღამო დღეთა მარულას,
მას გაჭყვა ჩემი ყმაწვილკაცობა,
უკრაინაში ვცხოვრობდი როცა...
მესმოდა ფიცი, მესმოდა ლოცვა
და მიცხადებდნენ წრფელად დაძმობას,
სანამ ღრუბლებად გავითარეშეთ
წმინდა ცვარ-ნამის — ცრემლის გარეშე.
და კვლავ მომიხდა მეზარის დარად
ხანმოთეულთა... არა და არა,
მათ სულ ქოლერამ დარია ხელი,
თორემ ბარათი, რომელსაც ველი,
მომივიდოდა.....

.....
ეჭ, დარდით გულდასერილს,
არ მსურს შევლება მზერის,
ვით კითხულობენ წერილს.
წავალ, გავყვები ნელა
ზღვისპირს, ფიქრთგასართველად.
და უკრაინის ქება
გულს ჰანგად აღმოხდება.
უკეთ მიწამლებს ჰანგი,
ვიდრე მავანთა ბანგი,
მოუჭრის გზას იარებს,
სიმართლეს მაზიარებს.

1848 წ. მეორე ნახევარი,
კოს-არალი

* *
*

В неволі, в самоті немає,
Нема з ким серце поєднать.
То сам собі оце шукаю
Когось-то, з ним щоб розмовлять,
Шукаю бога, а нахожжу
Таке, що цур йому й казать.



отк - иудейск

От що зробили з мене годи
Та безталання; та ще й те,
Що літечко моє святе
Минуло хмарно, що немає
Ніже єдиного случаю,
Щоб до ладу було згадать.
А душу треба розважать,
Бо їй так хочеться, так просить
Хоч слова тихого. Не чуть,
І мов у полі сніг заносить
Не охолонувший ще труп.

[Друга половина 1848
Косарал]

* *
*

სად ტყვეობა და სიმარტოვია,
ვისთან, ვის გვერდით უნდა იარო.
ვეძებ და კაცი ვერ მიპოვია,
ხმა გავცე, აზრი გავუზიარო.
ღმერთს ვეძებ, მაგრამ რასაც ვპოულობ,
ფიქრიც ძნელია, წართქმა კი არა.



აი, რა მიქნა დენამ წლებისა
და უბედობამ. ჰგავდა დაგესლილს
ზაფხული ჩემი უსპეტაკესი
და გარდასული ბევრი იარა
არცაა ღირსი გახსენებისა.
სულს კი სჭირდება ქროლვა ნებისად,
სულს კი სწყურია და წრფელად ითხოვს
წყნარ სიტყვას თუნდაც. არ ისმის ჩქამი.
იფარებო ფიფქებით თითქოს
ველად ჭერ კიდევ გამთბარი გვამი.

1848 წ. მეორე ნახევარი,
კოს-არალი

* *
*

Неначе степом чумаки
Уосени верству проходять,
Так і мене минають годи,
А я й байдуже. Книжечки
Мережаю та начиняю
Таки віршами. Розважаю
Дурную голову свою
Та кайдані собі кую
(Як ці добродії дознають).
Та вже ж нехай хоч розіпнуть,
А я без вірші не улежу.
Уже два года промережав
І третій в добрий час почну.

[Перша половина 1849
Косарал]

* *


*

ვით ჩალვადრები ტრიალ ტრამალზე
შემოდგომობით ვერსებს ფარავენ,
მიდიან წლები და წლებს მპარავენ,
მე კი ჩუმად ვარ და ვალამაზებ,
ვქარგავ, ლექსებით ვავსებ და ვავსებ
ციცქნა წიგნაკებს. ნიადაგ ასე
სულელი თავით ვერთობი ვითომ
და ჩემით ბორკილს ვიჭედავ თვითონ
(თუკი წერისას ჩამავლეს ხელი).
ჯანდაბას, თუნდაც გამაკრან ჯვარზე,
ულექსოდ ისეც დალუპვა მელის.
მივქარგ-მოვქარგე ეს ორი წელი
და მესამესაც შევხვდები ხვალ-ზეგ.

1849 წ. პირველი ნახევარი,
კოს-არალი

* *
*

Готово! Парус розпустили,
Посунули по синій хвилі
Помеж кугою в Сирдар'ю
Байдару та баркас чималий.
Прощай, убогий Косарале.
Нудьгу заклятую мою
Ти розважав-таки два літа.




Спасибі, друже; похвались,
Що люде і тебе знайшли
І знали, що з тебе зробити.
Прощай же, друже! Ні хвали,
Ані ганьби я не сплітаю
Твоїй пустині; в іншій краю,
Не знаю, може, й нагадаю
Нудьгу колишнюю колись!

[Друга половина 1849
Косарал]

* *

*

გვეშველა! უკვე ავუშვით აფრა
და ლურჯ ტალღებში გავცურდით სწრაფად.
სირდარიაში, ლაქაშებს შორის,
ბაიდას, ბარკასს ვნავკოსალარობ.
მშვიდობით, მწირო ზღვავ, კოს-არალო.
რაც მართალია, ეგ წელი ორი
შენ მიქარვებდი დაწყევლილ ნაღველს,



მადლობა, კარგო, გმართებს ქადილი,
რომ გპოვეს შორი და მივარდნილი,
რომ სასიკეთო შენშიაც ნახეს.
მშვიდობით, კარგო! მე არ დამცდება
არც ქება, აღარც ძაგება შენი
უდაბნოეთის. როსმე კი წყენით
მომაგონდება მწუხარე დღენი
და ხსოვნის ლანდი შებარბაცდება!

1849 წ. მეორე ნახევარი,
კოს-არალი

* *
*

Ми восени таки похожі
Хоч капельку на образ божий, —
Звичайне, що не всі, а так,
Хоч деякі. Крутий байрак,
Неначе циган чорний, голий,
В діброві вбитий або спить.
А по долині, по роздоллі
Із степу перекотиполе
Рудим ягнятчком біжить
До річечки собі напитись.
А річечка його взяла
Та в Дніпр широкий понесла,
А Дніпр у море, на край світа
Билину море покотило
Та й кинуло на чужині.

І жаль тобі її стане,
Малої билини.
Підеш собі зажурившись
Гаєм по долині;
Гай шепоче, гнуться лози
В яру при дорозі,
Думи душу осідають,
І капають сльози.
І хочеться сповідатись,
Серце розповити,
І хочеться... Боже милий!
Як хочеться жити,
І любити твою правду,
І весь світ обняти!

Благо тобі, друже-брате,
Як є в тебе хата.
Благо тобі, як у хаті
Є з ким розмовляти.
Хоч дитина немовляща,
І воно вгадає
Твої думи веселії...

* *
*

შემოდგომაზე თუნდ ერთი წვეთი
გადმოდის ჩვენში ხატება ღმერთის, —
ცხადია, არა ყველაში, ოდენ
ზოგიერთებში. ციცაბო კბოდე
მოჭგავს შავტუხა, ტანშიშველ ბოშას,
მუხნარში მოკლულს ანდა მძინარეს.
დაბლა კი, ველზე ბურბურა მოჩანს,
თითქოს სწყურია და ახლა ოჩან
კრავივით ელტვის ციცქნა მდინარეს.
მდინარემ იგი თან გაიყოლა
დნიპროსკენ, თითქოს არა იყო რა,
დნიპრომ კამკამა ტალღების მღერით
ზღვას შეურია ობოლი ღერი
და უცხო მხარის გახადა მტკერი.

ციცქნა ღეროს სიბრალოული
ფიქრებს განგიმსჭვალავს.
გულს ჩაიხვევ, დარდიანი
ივლი ჭალა-ჭალა;
ჭალა ფშვინავს, ხევის პირზე
ილუნება წნელი,
სულს სახმილი ეუფლება,
წვეთავს ცრემლი ცხელი.
გსურს გაენდო ვინმეს წრფელად,
გზა გაუხსნა სათქმელს,
გინდა... ღმერთო დიდებულო,
ამ ცხოვრებით დატკბე,
შენს სიმართლეს ენაცვალო,
ედმო ცას და მიწას!

რა სჯობს ძმაო, თუ გაქვს ქოხი,
თუ ის ქოხი გიცავს.
თუ იმ ქოხში გელის
ვინმე სიტყვის მთქმელი.
თუნდ ძუძუთა იყოს ბავშვი,
მიგიხვდება კეთილ
და მხიარულ გულისნადებს...

Сам бог розмовляє
Непорочними устами.

А тобі, мій одинокий,
Мій друже єдиний,
Горі тобі на чужині
Та на самотині.
Хто з тобою заговорить,
Привітає, гляне?..
Кругом тебе простяглася
Трупом бездиханним
Помарнілая пустиня,
Кинутая богом.

[Друга половина 1849
Косарал]

უბნობს თვითონ ღმერთი
უცოდველი ბაგეებით.

შენ კი, ჩემო მარტოსულო,
კენტო მეგობარო,
ვინ გიშველოს უცხო მხარეს,
ვილამ გაგახაროს?..
ვილამ გითხრას ტკბილი სიტყვა,
გაგინელოს შხამი?..
შენ გარშემო უდაბნოა,
ვით უსულო გვამი,
ღვთის და კაცის დაწყევლილი,
მობურული ღამით.

1849 წ. მეორე ნახევარი,
კოს-არალი

* *
*

Огні горять, музіка грає,
Музіка плаче, завиває;
Алмазом добрим, дорогим
Сіяють очі молодії;
Витає радість і надія
В очах веселих; любо їм,
Очам негрішним, молодим.
І всі регочуться, сміються,
І всі танцюють. Тільки я,
Неначе заклятий, дивлюся
І нишком плачу, плачу я.
Чого ж я плачу? Мабуть, шкода,
Що без пригоди, мов негода,
Минула молодість моя.

[Перша половина 1850
Оренбург]

* *

*

სანთლები იწვის, მუსიკა გრგვინავს.
მუსიკა ტირის, ქვითინებს, გმინავს.
როგორც აღმასის ძვირფასი თვალი,
ახალგაზრდობას უბრწყინავს თვალი.
სიხარულის და იმედის ალი
კიაფობს მათში; ვხედავ გასარკულს,
თვალებს უცოდველს და უასაკოს.
ყველა ხარხარებს, ყველა იცინის,
ცეკვავს, თამაშობს. მათი ანცობა
მატირებს ჩუმად, თითქოს ისინი
დაძრულან ჩემკენ ღვარად, ღვარცოფად.
რად მეტირება? ცოდვანა აღბათ,
რომ უფერულად ავდარში დაღბა,
ცრემლს გაჰყვა ჩემი ყმაწვილკაცობა.

1850 წ. პირველი ნახევარი,
ორენბურგი

* *
*

На батька бісового я трачу
І дні, і пера, і папір!
А іноді то ще й заплачу,
Таки аж надто. Не на мир
І на діла його дивившись,
А так, мов іноді, упившись,
Дідусь сивесенький рида —
Того, бачте, що сирота.

[Перша половина 1850
Оренбург]

* *

*

ნეტავ, ვიცოდე, რა ჭირად ვხარჯავ
დღეებს, მელანს და ქალაქის ფურცლებს.
დამექანცება ხანდისხან მაჯა
და თვალებს ცრემლი წასკდება უცებ
ნიაღვარივით. დავიძაბები,
გაკვირვებულ სოფლის ამბებით,
ვით უპოვარი ბებერი მწირი,
რომელიც თავის ობლობას ტირის.

1850 წ. პირველი ნახევარი,
ორენბურგი

ДОЛЯ

Ти не лукавила зо мною,
Ти другом, братом і сестрою
Сіромі стала. Ти взяла
Мене, маленького, за руку
І в школу хлопця одвела
До п'яного дядка в науку.
«Учися, серденько, колись
З нас будуть люде», — ти сказала.
А я й послухав, і учивсь,
І вивчився. А ти збрехала.
Які з нас люде? Та дарма!
Ми не лукавили з тобою,
Ми просто йшли; у нас нема
Зерна неправди за собою.
Ходімо ж, доленько моя!
Мій друже вбогий, нелукавий!
Ходімо дальше, дальше слава,
А слава — заповідь моя.

[9 лютого 1858
Нижній Новгород]

შენ არ ყოფილხარ ჩემი მგმობარი,
 შენ გახდი დღი, ძმა, მეგობარი
 უპოვარისთვის. ჩამკიდე ხელი,
 წარვდგით სკოლისკენ პირველი ბიჭი.
 ზარხოშ დიაკვანს შენ მანდე ბნელი
 გონის საწვრთნელად პატარა ბიჭი.
 მითხარ: „ისწავლე, ოცნებას სდიე,
 დადგები კაცი ზოგ-ზოგივითა“.
 მეც დაგიჭერე. ვისწავლე დღია .
 შენ კი ტყუილი გამოგივიდა.
 ჩვენ რა ხალხი ვართ, ნათრევ-ნაწეწი?
 თუმცა გულწრფელობა უყვარს ჩვენიანს.
 ჩვენ ვვლეთ უბრალოდ. ერთი ნამცეცი
 სიცრუეც არსად არ დაგვცდენია.
 ჩემო სვე-ბედო, მომყევ ნელიად!
 ხარ მეგობარი, სათნო და მსხემი,
 იარე ჩემთან, წინ სახელია,
 ხოლო სახელი — მცნებაა ჩემი.

1858 წ. 9 თებერვალი,
 ნიჟნი-ნოვგოროდი

МУЗА

А ти, пречистая, святая,
Ти, сестро Феба молодая!
Мене ти в пелену взяла
І геть у поле однесла.
І на могилі серед поля,
Як тую волю на роздоллі,
Туманом сивим сповила.
І колихала, і співала,
І чари діяла... І я...
О чарівниченько моя!
Мені ти всюди помагала,
Мене ти всюди доглядала.

В степу, безлюдному степу,
В далекій неволі,
Ти сіяла, пишалася,
Як квіточка в полі!
Із казарми нечистої
Чистою, святою
Пташечкою вилетіла
І понадо мною
Полинула, заспівала
Ти, золотокрила...
Мов живущою водою
Душу окропила.

І я живу, і надо мною
З своєю божою красою
Гориш ти, зоренько моя,
Моя порадонько святая!
Моя ти доле молодая!
Не покидай мене. Вночі,
І вдень, і ввечері, і рано
Витай зо мною і учи,
Учи неложними устами
Сказати правду. Поможі
Молитву діяти до краю.

შენ, უწმინდესო, უნეტარესო,
 თებეს ყმაწვილ დას შეგადარესო!
 ჩვილის ჩაღთაში გამოხვეული,
 შენ წარმიტანე ველად ეული.
 ვანად მიქციე ყორღანის თხემი,
 ნისლით მობურე სამყოფლო ჩემი,
 როგორც ის შვება სიზმარეული.
 აკვანს მირწევდი და მიგალობდი,
 მნუსხავდა ხმები გალობისანი...
 ო, შენ იყავი ჩემი მისანი!
 კიდევ მშველოდი, კიდევ მწყალობდი,
 მომიახლოვე ბევრი მიზანი.

სტეპში, უკაცრიელ სტეპში,
 სად ტყვეობა მერგო,
 მინდვრის ყვავილივით ენთე,
 შთაგონების ნერგო!
 ბინძურ ყაზარმიდან წმინდა,
 უზენაეს ჩიტის
 დარად გამოიფრთხიალე
 და ცისკიდე მშვიდი
 გასჭერ ოქროსფრთებთანო,
 სტვენით კურნავ წყლულებს...
 თითქოს უკვდავების წყალით
 სული დამირწყულე.

და მე ცოცხალვარ და გეფერები
 და ღვთაებრივი მშვენიერებით
 ისე დამხარი, ჩემო ვარსკვლავო,
 წმინდა მრჩევლისგან ვერ განგასხვავო,
 როს იღბალივით მეხმიერები!
 ნუ მიმატოვებ, შენ გენაცვალე,
 დღითაც, ღამითაც ჩემთან დახანდი.
 იფრინე გვერდით, მგეშე, მასწავლე,
 მასწავლე მიწყვი მართლის ღაღადი
 პირუთვნელ ბაგით. სიკეთე ჰქმენი,
 მადროვე, ლოცვა რომ დავასრულო.

А як умру, моя святая!
Моя ти мамо! положи
Свого ти сина в домовину
І хоть єдиную сльозину
В очах безсмертних покажи.

[9 лютого 1858
Нижній Новгород]

და როცა მოვკვდე, ზეცის ასულო!
დედაო ჩემო, მე — შვილი შენი,
დამიმახსოვრე, როგორც ცოცხალი
და თუნდაც, თუნდაც ერთი კურცხალი
მაჩვენე უკვდავ თვალებში მბრწყენი.

1858 წ. თებერვალი,
ნიენი-ნოვგოროდი

СЛАВА

А ти, задрипанко, шинкарко,
Перекупко п'яна!
Де ти в ката забарилась
З своїми лучами?
У Версалі над злодієм
Набор розпустила?
Чи з ким іншим мизкаєшся
З нудьги та з похмілля.
Горнись лишень ти до мене,
Та витнемо з лиха;
Гарнесенько обіймемось
Та любо, та тихо
Пожартуєм, чмокнемося
Та й поберемося,
Моя крале мальована.
Бо я таки й досі
За тобою чимчикую:
Ти хоча й пишалась
І з п'яними кесарями
По шинках хилялась,
А надто з тим Миколою
У Севастополі, —
Та мені про те байдуже;
Мені, моя доле,
Дай на себе подивитись,
Дай і пригорнутись,
Під крилом твоім любенько
В холодку заснути.

[9 лютого] 1858
Нижній Новгород

ღიღება

გაქუცულო ვაჭრის ქალო,
მთვრალო მიკიტანო!
სად დაყოვნდი, აკი სანთელს
სულთან მიგიტანო!
ვერსაღს ქურდთან ქეიფობდი,
პურს აწობდი მარიღს
თუ სხვა ვინმეს აეკიდე
ნასვამ-ნალოთარი?
მხოლოდ მე ერთს გამიხსენი,
გამიშალე გული,
რომ მტერს თვალებს უბრმავებდეს
ჩვენი სიყვარული.
ვიხალისოთ, ვილაღობოთ,
გზა განვაგრძოთ წყვილად,
ჩემო დახატულო ტურფავ,
მე ხომ დღემდე ილაჯს
ვიწყვეტ, კულში მოგჩანჩალებ,
თუმცა თავი მოგაქვს,
რომ დუქანში კეისარმა
შენს წინ დაიჩოქა,
თვით ნიკოლოზს თან რომ ახლდი
სევასტოპოლს მწედო, —
ვიცი, მაგრამ არად ვაგდებ,
მე მსურს, ჩემო ბედო,
შენი მზერით გავიხარო,
მკლავზე დაგიწვინო,
მერე ფრთებქვეშ შეგეყუუო,
ტკბილად დავიძინო.

1858 წ. 9 თებერვალი,
ნიუნი-ნოვგოროდი

* *
* *

Я не нездужаю, нівроку,
А щось такеє бачить око,
І серце жде чогось. Болить,
Болить, і плаче, і не спить,
Мов негодована дитина.
Лихої, тяжкої години,
Мабуть, ти ждеш? Добра не жди,
Не жди сподіваної волі —
Вона заснула: цар Микола
Її приспав. А щоб збудить
Хиренну волю, треба миром,
Громадою обух сталить;
Та добре вигострить сокиру —
Та й заходиться вже будить.
А то проспить собі небога
До суду божого страшного!
А панство буде колихать,
Храми, палати муровать,
Любить царя свого п'яного,
Та візантійство прославлять,
Та й більше, бачиться, нічого.

1858, 22 ноября
[С.-Петербург]

* *

*

ჯერ კარგადა ვარ, მადლობა გამჩენს,
თვალი კი რაღაც იმნაირს ამჩნევს
და გულიც ელის რაღაცას. მტკივა,
მტკივა და ტირის და მოჭგავს მკივან,
ღამეუძილარ მშიერ პატარას.
ავდარს, მეწყერს და ხრამში ჩატანას
მოელი, არა? კარგს ნულარ ელი,
შვების იმედი ამოიქოლა,
ის მძინარეა: მეფე მიკოლამ
მიასავათა. ერობის ხელი
თუ გააღვიძებს ქანცგაცლილ შვებას.
უნდა აღვმართოთ ნაჯახი მჭრელი
და საზოგადო აღსრულდეს ნება.
თორემ ვიძინებთ დღითა და ღამით,
სანამ არ მოვა განკითხვის უამი!
ხოლო პანები გვეტყვიან ნანას,
აიშენებენ პალატებს თანაც,
კვლავ ეყვარებათ ხელმწიფე ლოთი,
ბიზანტიური მათრახის ხანა...
და ნუ დაუწყებთ სხვა ხანას ლოდინს.

1858 წ. 22 ნოემბერი,
ს.-პეტერბურგი

* *
*

Колись дурною головою
Я думав: «Горенько зо мною!
Як доведеться в світі жити?
Людей і господа хвалить?
В багні колодою гнилою
Валятись, старітись, гнить,
Умерти й сліду не покинуть
На обікраденій землі...
О горе! горенько мені!
І де я в світі заховаюсь?
Щодень пілати розпинають,
Морозять, шкварять на огні!»

*21 іюля [1859]
Черкаси*

* *

*

როსმე ვფიქრობდი სულელი თავით:
„ვაიმე, მელის დღეები შავი!
როგორღა გავლევ საკუთარ მანძილს?
შევძლებ შექებას უფლის და კაცის?
დამპალ მორივით დამიტანს შვავი,
რაც ვიყავ უწინ, ვიქნები არც ის.
მოვკვდები მწირი და ნაჯაფარი,
აღარ დამრჩება მიწაზე კვალი...
ო, ჩემი ცოდვა, ო, ჩემი ბრალი!
სად ვპოვო ქვეყნად თავშესაფარი?
პილატეები მაკრავენ ჯვარზე,
მწვავს, მფერფლავს მათი ხანძრების აღი!“

1859 წ., 21 ივლისი,
ჩერკასი

ОСІІ. ГЛАВА XIV

(П о д р а ж а н і є)

Погибнеш, згинеш, Україно,
Не стане знаку на землі.
А ти пишалася колись
В добрі і розкоші! Вкраїно!
Мій любий краю неповинний!
За що тебе господь кара,
Карає тяжко? За Богдана,
Та за скаженого Петра,
Та за панів отих поганих
До краю нищить... Покара,
Уб'є незримо і правдиво;
Бо довго довготерпеливий
Дивився мовчки на твою,
Гріховную твою утробу
І рек во гніві: «Потреблю
Твою красу, твою оздобу,
Сама розіпнешся. Во злобі
Сини твої тебе уб'ють
Оперені, а злозачаті
Во чреві згинуть, пропадуть,
Мов недолежані курчата!..
І плача, матернього плача
Ісполню гради і поля,
Да зрить розтленная земля,
Що я держитель і все бачу».
Воскресни, мамо! І вернися
В світлицю-хату; опочий,
Бо ти аж надто вже втомилась,
Гріхи синовні несучи.
Спочивши, скорбная, скажи,
Прорци своїм лукавим чадам,
Що пропадуть вони, лихі,
Що їх безчестіє, і зрада,
І криводушіє огнем,
Кровавим, пламенним мечем
Нарізані на людських душах,
Що крикне кара невсипуща,

ოსიას თაჰი XIV

[მიზაძვა]

დაიღუპები, შენ, უკრაინავ,
აღარ დაგრჩება კვალი მცირედი.
როსმე კი გქონდა ხვალის იმედი
და ნეტარებდი, შენ, უკრაინავ!
ჩემო ძვირფასო, უბიწო მხარევ!
რას გემართლება, ნეტავ, გამჩენი,
რა უნდა შენთან? ეს განაჩენი
ბოგდანის, პეტრეს გამოა მწარე.
იმ საძულველ და ავყია პანთა
გამო დაგთვლია სიცოცხლის დღენი.
არსთა გამრიგე გაგაქრობს მართლაც,
რადგანაც დიდხანს, ხანგრძლივად მთმენი
უმწერდა ჩუმი გულმოდგინებით
შენს გაქსუებულ, შენს ცოდვილ სტომაქს
და ხმობდა რისხვით: „შეგერკინები,
რომ ვნახო შენი მშვენების კვდომა.
ჯვარს გაეკვრები. ვერ ჰპოვებ ქომაგს.
მოგკლავენ შენი ავი შვილები,
წამოჩიტულნი, ხოლო საშოში
ამოწყდებიან, ვით წიწილები,
ვინც მერე უნდა გახდეს საშიში!..
ტირილით, მწარე ტირილით დედის,
მთა-ბარს ავაფსებ, შევსუდრავ შავად,
გახრწნილმა მიწამ იხილოს თავად,
რომ ვარ უფალი და ყოვლის მჭვრეტი“.
აღსდექ, დედაო! გემუდარები,
დაბრუნდი ქოხში, მილულე თვალი.
გაგიწყდა ქანცი ტვირთის ტარებით,
ზიდვით პირმშოთა ცოდვის და ბრალის.
დასვენებულმა ამცნე ბოლომდე
ცბიერ ნაშიერთ, რასაც მაღავდი,
რომ მოსპობს, დანთქავს მათ სიბოროტე,
რომ მათი მწიკვლის, მათი ღალატის
და სულმრუდობის მშანთავი კვალი
გავარვარებულ, სისხლიან ხმალით
დააჩნდა გულებს ნაწიბურებად,
რომ მათი გზები აწ იბურება,

Що не спасе їх добрий цар,
Їх кроткий, п'яний господар,
Не дасть їм пить, не дасть їм їсти,
Не дасть коня вам охляп сісти
Та утікати; не втечете
І не сховаєтеся; всюди
Вас найде правда-мста, а люде
Підстережуть вас на тоте ж,
Уловлять і судить не будуть,
В кайдани туго окують,
В село на зрище приведуть,
І на хресті отім без ката
І без царя вас, біснуватих,
Розпнуть, розірвуть, рознесуть,
І вашей кровію, собаки,
Собак напоять...

І додай,
Такеє слово їм додай
Без притчі; вискажи: «Зробили,
Руками скверними створили
Свою надію; й речете,
Що цар наш бог, і цар надія,
І нагодує, і огріє
Вдову і сирот». Ні, не те,
Скажи їм ось що: «Брешуть боги,
Ті ідоли в чужих чертогах,
Скажи, що правда оживе,
Натхне, накличе, нажене
Не ветхеє, не древлеє слово
Розтленнеє, а слово нове
Меж людьми криком пронесе
І люд окрадений спасе
Од ласки царської...»

25 декабр[я] 1859 г.
[С.-Петербург]

რომ ველარ იხსნით სათნო იერით
ხელმწიფე მთვრალი და თვინიერი,
ის მშიერ-მწყურვალთ გაახმობს ზეზე,
არც თქვენ დაგაცლით ამხედრდეთ ცხენზე,
რათა გაქუსლოთ; ვერ შესძლებთ ამას,
ვერც დაიმაღვით, გზად სამართალი
წამოგეწევათ, როგორც სარდალი,
და უცაბედად დაგიდებთ სამანს,
თქვენ დაგერქმევათ ეშმა, ართვალი,
ხელ-ფეხზე მძიმე ბორკილებგაყრილთ,
მასხრად, აბუჩად აგიგდებთ ხალხი,
არ დასჭირდებათ მეფე, ჯალათი,
თქვენ, ცოფიანებს, ძალისძალათი
დაგგლეჯ-დაგფხრეწენ, ჯვარზე გაცმევენ,
თქვენს სისხლს, ძაღლებო... ახია, ახი!..
ძაღლს შეასმევენ...

ჰოდა, უთხარი,
მათ საკადრისი სიტყვა უთხარი
მიუკიბავად: „ბილწი ხელებით
შექმენით თვითონ და თავს ევლებით
საკუთარ იმედს; ლაქლაქებთ ახლა:
მეფეა ჩვენი ღმერთიც, იმედიც,
იგი ქვრივ-ობლებს არ გაიმეტებს,
აჭმევს, ჩააცმევს“. ო, არა, მახლას!
არქვი: „არ შერჩათ ზეცის ნასახი
ღმერთებს, იმ კერპებს უცხო სასახლის,
არქვი, სიმართლე აღსდგება მკვდრეთით,
იქუხებს სისხლის ყოველი წვეთით
არა ბებერი, გახრწნილი სიტყვა,
არამედ იგი, რაც უნდა ითქვას
და მეხთატეხა, გრაგანი მისი,
ყველა გაქურდულ ხორციელს იხსნის
მეფის მამობრივ აღერსისაგან...“

1859 წ. 25 დეკემბერი,
ს.-პეტერბურგი

* *
*

І Архімед, і Галілей
Вина й не бачили. Єлей
Потік у черево чернече!
А ви, святиє предотечі,
По всьому світу розійшлись
І крихту хліба понесли
Царям убогим. Буде бите
Царями сіянеє жито!
А люде виростуть. Умрутъ
Ще не зачатіє царята...
І на оновленій землі
Врага не буде, супостата,
А буде син, і буде мати,
І будуть люде на землі.

*24 сeнтября [1860
С.-Петербург]*

* *

*

არც გალილეოს, არც არქიმედეს,
არ უსვამთ ღვინო. გამოიმეტეს
ბერის მუცლისთვის ნაკურთხი ზეთი.
წინამორბედნო, სათნო და კეთილ
მიზნებით მოვლეთ ზღვაცა და ხმელიც
და გაუწოდეთ მოწყალე ხელი
გლახაკ მეფეებს. წაგიხდათ მანამ
მეფეთა მიერ ნათესი ყანა!
წამოვა ხალხი! ჯერ ჩაუსახველ
უფლისწულებსაც დაფარავს თალხი,
მტერს გაასწორებს საწუთროს ჩალხი,
და განახლებულ მიწასა ზედა
იქნება ძე და იქნება დედა,
დედამიწაზე იქნება ხალხი.

1860 წ. 24 სექტემბერი,
ს.-პეტერბურგი

Л.

Поставлю хату і кімнату,
Садок-райочок насаджу.
Посіджу я і походжу
В своїй маленькій благодаті.
Та в одині-самотині
В садочку буду спочивати.
Присняться діточки мені,
Веселая присниться мати,
Давнє-колишній та ясний
Присниться сон мені!.. і ти!..
Ні, я не буду спочивати,
Бо й ти приснишся. І в малий
Райочок мій спідтиха-тиха
Підкрадешся, наробиш лиха...
Запалиш рай мій самотний.

*27 сентября [1860
С.-Петербург]*



Л.

Поставлю хату и хилнату,
Водок-райотокъ насажу.
Посітку є, и похому
Рук своій малембкій благодетц.
Та вг одини-самотини
Рук штурдотку буду сточивати,
Присмиць дитотки мени,
Веселав присмиць мачи,
Давне-колицькій табемь
Присмиць сонг мени!.. и ти!..
Ми є пубуду сточивати,
Бо і ты присмысь. и малій
Райотокъ мій, спидтиха-тиха
Пидкрасель, каробльць лиха...
Заналиць рай мій самотини.

27. Вентьорь

დავიდგამ ქოხს და დავიდგამ სენაკს,
 ბალი მექნება, სამოთხის ბალი,
 ხან ჩამოვჯდები, ხან ვივლი ლალი,
 ჩემს მცირე ედემს დალოცავს ზენა.
 იქ დავისვენებ... მარტოს და დაღლილს
 სულმოთქმის მეტი რა მინდა, ნეტა!
